ოქტომბერი
1928 წ.
№ 34

საქართველოს დამოუკიდებელი

La Géorgie Indépendante
Revue mensuelle
OCTOBRE
1928—№ 34

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

მეთაური—ჭიათურის ბედი.
ილია ნუცუბიძე—სასოწარკვეთილი ნაბიჯი.
ვიკ. ნოზაძე—სანავთო პოლიტიკა და კავკასია.
მუსტაფა ჩოკაევ—თურქესტანში.
საქართველოს საკითხი.
უცხოეთის მიმოხილვა.
რას სწერენ ბოლშევიკებზე.
მაღარიელი მუშა—გაცრუებული იმედი.
ზაზი—საბჭოთა საქართველო.
რ. ინგილო—იტალიური ფურცლები.
—ე—ალფონს ოლარ.
ქართვ. გერმანიაში, ქარ. საფრანგეთში და სხვ.

ჭიათურის ბედი.

დიდი ხანია აღწევდა ჩვენამდე ხმები, ჰარიმანის კონცესია ჭიათურის შავ ქვაზე უქმდებაო; და ეს არც გვაკვირვებდა, რადგან აბა სხვა რომელ კონცესიას უხვირნია საბჭოთა სამოთხეში, ჭიათურისა გამონაკლისი რომ გამხდარიყო? მაგრამ თვით ჩვენი არამზადა კომუნისტებიც ხომ ხმებით იკვებებოდენ, რადგან ჭიათურის ბედი მოსკოვში და არა თფილისში წყდებოდა და წყდება.

ეხლაც, როგორც გადმოგვცემს ქართული «კომუნისტი» (4.9.28), «საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის მთავრობის რწმუნებული ამხ. ყურულაშვილი» აცხადებს: «რამდენათაც ვიცი, საკავშირო მთავრობამ უკვე დაამტკიცა საბოლოო შეთანხმება კონცესიის ლიკვიდაციის შესახებო». შესანიშნავია ეს ფრაზა—«რამდენათაც ვიცი», თავი კი საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარედ მოაქვს! მაგრამ ის მოსკოვის «რწმუნებულია» იმავე დროს, და ეს თანამდებობა კი უფრო მაღალია, ვინემ პირველი, თუმცა მოსკოვის ბობოლას საფეხურამდე დიდი ზღვარი უძევს, ამიტომაც ვერ ბედავს გადაჭრით სთქვას, რა ბედი ეწია საქართველოს მთავარ სიმდიდრეს—შავ ქვას, «რამდენათაც ვიციო»—ბუტბუტებს ის.

რას გვეუბნება კიდევ «რწმუნებულის ინტერვიუ»? «უკანასკნელათ საკონცესიო მუშაობა ჭიათურაში ძალიან შეფერხებული იყო; მუშაობდა მხოლოდ ერთი ქარხანა (ყოფ. სიმონოვის) მაღაროთი, რომელშიც მუშაობდა დაახლოვებით 400-მდე მუშაო». როგორ მოგწონთ? ნუთუ დაივიწყეს ეს ამდენი ტრაბახი, როცა კონცესია ჰარიმანს გადაეცა, მათ ზურგს უკან? ამერიკის კაპიტალი ჩავითრიეთ, შემოვიღებთ ამერიკულ წესებს, ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვას, ავამუშავებთ არსებულ ქარხნებს, ათ იმდენსაც სხვას გავხსნით, ჩავაბამთ ათასობით მუშებს, მოვახდენთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას—აი რაებს ბოდავდენ არამზადები. და ბოლოს კი «ერთი ქარხანა მაღაროთი და 400-მდე მუშა»!

თუ ამ ზომამდე ჩამოქვეითდა შავი ქვის მრეწველობა, ცხადია, მისი ლიკვიდაცია ადრე მომხდარა ფაქტიურათ, სანამ მოსკოვი მიიღებდა ჰარიმანის წინადადებას საკონცესიო ხელშეკრულების გაუქმებაზე. როგორ ფიქრობენ ამ წამხდარი საქმის გამოსწორებას? ყურულაშვილი მოგვიგებს: ჩვენ მოვაწყვეთ «ტრესტი, რომელსაც ეკისრება მარგანეცის ამოღების, გარეცხვის და დახარისხების სამუშაოებიო». და შემდეგ: «საწარმოო პროგრამა 1928-29 წ. დასახულია 500.000-დან 600.000 ტონამდე, ტრესტს ევალება აამუშაოს, შეაკეთოს ყველა ქარხნები და მაღაროები; წარმოებაში იმუშავებს არა ნაკლებ 4.000 მუშისაო».

მერე რამდენი თანხა დასჭირდება ტრესტს ყველა ამეების მოსაგვარებლათ? ვინ მისცემს მას ამ თანხას? ყურულაშვილი სდუმს და ეს სიმუნჯით არ მოსდის მას—არ იცის, რადგან არც მოსკოვში იციან, სად იშოვონ თანხები... არა მარტო ჭიათურისათვის. ისინი თვითონ არიან ვალდებული ჰარიმანს 3 ნახ. მილიონი დოლარი უზღონ, და ამას ამერიკის «პირველ სესხს» ეძახიან!

«ექსპორტის ორგანიზაციისათვის საკავშირო მასშტაბით—არ გვეშვება ყურულაშვილი—და ნიკოპოლის და ჭიათურის მარგანეცის ტრესტების მუშაობის ერთმანეთთან შესათანხმებლათ, მოწყობილია მარგანეცის ექსპორტის საკავშირო საააქციო საზოგადოებაო». ამრიგათ, ექსპორტიც გაუსაზოგადოებრივებიათ «საკავშირო მასშტაბით»! საქართველოს კი «ნოქკი და როქკი», როგორც იტყვიან, და ეს მდგომარეობს იმაში, რომ ტრესტის მმართველად კარპე მოდებაძე დაამტკიცეს, ხოლო საექსპორტო საზოგადოების თავმჯდომარედ—ა. სვანიძეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც ცოტათი მაინც გასცნობია ჭიათურის წარსულს, კიდევ ძველი რეჟიმის დროს, მისთვის უდაოა, რომ მისი ნიკოპოლთან გადაბმა ჭიათურის მომავლის დასამარებას მოასწავებს. ჭიათურის შავი ქვა ცნობილია მსოფლიოში, როგორც უბადლო ხარისხით და მდიდარი ფენებით; თუ ის გამოვიდა ნიკოპოლთან ერთათ მსოფლიო ბაზარზედ, უეჭველია, ეს დასცემს მის სახელს და ფასს, და ამით მხოლოდ უცხოეთის მეტოქენი ისარგებლებენ.

რას სჩადიოდენ მეფის მოხელენი წინეთ? ისინი ხელოვნურათ აძვირებდენ ჭიათურის მადანს, რომ ნიკოპოლისას მისცემოდა გასავალი. ვის არ ახსოვს ის საზღაპრო შემთხვევა, როცა ტარიფი ჭიათურიდან ფოთამდე მეტი ღირდა, ვინემ ფრახტი ინდოეთიდან ინგლისამდე! მეფის მთავრობა არ რთავდა აგრეთვე ნებას ჭიათურის მრეწველთ გაერთიანებიათ შავი ქვის ექსპორტი, რომ მსოფლიო ბაზარზედ სოლიდარულათ გამოსულიყვენ.

და მიუხედავათ ყველა ამეებისა, ჭიათურა მაინც პირველ ადგილს იჭერს მსოფლიო ბაზარზედ, გააქვს 50 პროც. მეტი მადანი, ვინემ დანარჩენ ქვეყნებს, ერთათ აღებულს!

რა მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის დროს? მიწის ქვედა სიმდიდრე მთელს რესპუბლიკაში ერის საკუთრებად გამოცხადდა; მრეწველნი, განურჩევლათ, კონცესიონერებად იქცენ, წარმოების მათივე ხელში დატოვებით კერძო საკუთრების ნიადაგზედ; ქართველნი მრეწველნი გაერთიანდენ ერთ საზოგადოებაში და მით გაუთანასწორდენ გავლენით უცხოელ, შედარებით, მსხვილ მრეწველებს; დაარსდა საზოგადოება «ჩემო», რომელსაც შავი ქვის ექსპორტის მონოპოლია გადაეცა...

მიდრეკილება მთელი ამ ზომებისა თავის თავათ ცხადია: საქართველოს მთავარი სიმდიდრის უზრუნველყოფა გარეშე ძალთა დაპატრონებისაგან, მრეწველობის გაეროვნება კერძო თაოსნობის შეუზღუდველათ, მოსპობა ანარქიისა და მეტოქეობის ადგილობრივ მრეწველთა შორის მადანის გასაღების საქმეში, მუდმივი წყაროს გაჩენა სახელმწიფო ხაზინისთვის ფრახტის, საკონცესიო, საექსპორტო და სხვა გადასახადების სახით.

მაგრამ საქართველოს არ დასცალდა ესარგებლნა ახლათ შემოღებული წესებით. დამოუკიდებლობის თითქმის მთელს ხანაში ბლოკადა არ მოხსნია სრუტეებსა და შავ ზღვას, ასე რომ თავისუფალი გაზიდვა მადანისა და აქედან ყველა ქარხნების ამუშავება ადგილობრივ ძალზე ფერხდებოდა. არ შევჩერდებით იმაზე, თუ როგორ აწეწილი იყო თვით ევროპაში, დიდი ომის მეორე დღეს, მრეწველობა და აღებმიცემობა.

რამდენათ მიზანშეწონილი იყო ეს წესები, იქიდანაც კარგათ სჩანს, რომ საოკუპაციო ხელისუფლება იძულებული შეიქნა არ გაეუქმებია, მაგ., «ჩემო» და ოთხი და ნახევარი წლის განმავლობაში მისი აპარატით სარგებლობდა. მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირის მთელი ექსპორტი ექვემდებარებოდა ვნეშტორგს, ჭიათურის შავი ქვა წარმოადგენდა გამონაკლისს, რასაც ხშირათ აღნიშნავდენ ევროპა-ამერიკის პრესაში, როგორც კურიოზს.

მაგრამ დადგა მოსკოვის ბატონობის მეორე ხანა ჩვენში, როცა საქართველო გადარიცხულ იქნა მოსკოვის ულუფაზე და მის შემოსავლის წყაროებსაც საკავშირო ხაზინისკენ უქციეს პირი. ამ ცვლილებათა პირველი მსხვერპლი ჭიათურა გახდა: იგი გადასცეს ჰარიმანს.

ეს აქტი ბევრის მხრივ იყო დამახასიათებელი. საქართველოს დარჩენოდა ერთად ერთი აწყობილი სამრეწველო დარგი—ჭიათურის შავი ქვა. მეორე მნიშვნელოვანი დარგი—სპილენძის—მოსკოვმა სომხეთზე (ალავერდი) და ოსმალეთზე (ძანსული და კვარცხანა) გააჩუქა. მოსალოდნელი იყო, რომ «სოციალიზმის» წითელნი მოციქულნი ხელიდან არ გაუშვებდენ ამ ერთად ერთ დარგს და, ასე ვთქვათ, საქმით დაუმტკიცებდენ ქართველ ხალხს მათი დოქტრინის ცხოველმყოფელობას. მათ თითქოს ასეც დაიწყეს: «ნაციონალიზაცია» უყვეს ჭიათურის ქარხნებს, მაღაროებს, უკანასკნელი საყარაულოც არ გადარჩენია დეკრეტს... და დასასრულ, როცა გული მოიჯერეს ცარცვა-გლეჯით, წარმოების მინგრევ-მონგრევით, საქმე უცხოელს გადასცეს...

რატომ უცხოელს და არა ქართველ მრეწველებს? ამისათვის ხომ საკმარისი იყო მათი საკონცესიო უფლების აღდგენა? მაგრამ სწორეთ ეს არ სურდა მოსკოვს. მან დააქცია საქართველო ეკონომიურათ, საჭირო იყო მისი ეროვნულათაც დაქცევა. მას არ დავიწყნია ის უბრალო დებულება, რომ ერის ნივთიერი აღორძინება თავდებია მისი სულიერი ძლიერების, ქართველმა ერმა უნდა დაჰკარგოს ერთიცა და მეორეც—აი მისი მიზანი.

ჩვენი არამზადები ეხლა ისევ თავიდან იწყებენ საქმეს, წარმოების «სოციალისტურათ» მოწყობას... ვის უნდა აუხვიონ თვალი? ნუთუ მათ არ იციან, რომ ჭიათურის შავი ქვა უკვე შეტანილია მოსკოვის მიერ უკანასკნელათ გამოქვეყნებული კონცესიების სიაში? გაჭირვება ისე დიდია მთელს კავშირში, ფულის ნაკლებობა და შიმშილი ისე საგრძნობია, რომ საბჭოთა მთავრობა არ დაერიდება, თუ გინდ, მოსკოვისა და პეტროგრადის ფაბრიკა-ქარხნების ბაზარზედ გამოტანას.

ჯერ არა სჩანს, რომ ევროპა-ამერიკის კაპიტალისტები დაეწაფებიან მოსკოვის კონცესიებს, ყოველ შემთხვევაში, თუ დაეწაფენ, პირველ ადგილს ისევ ჭიათურა დაიჭერს, როგორც განთქმული და ადვილათ ხელმისაწდომი.

მანამდისინ კი იბოგინებს ტრესტი და საექსპორტო საზოგადოება «საკავშირო მასშტაბით». და ჩვენ ვიცით, რას მოასწავებს ეს: ქართველების სიმდიდრის რუსების ხელში გადასვლას! ჭიათურამ რომ იმუშაოს, თანხა მოსკოვმა უნდა გაიღოს ჩერვონცების სახით. ასევეა საექსპორტო საზოგადოებაც. მანაც ამ წყაროთი უნდა იარსებოს. რაც შეეხება შემოსავალს, წმინდა მოგებას, ესეც საკავშირო ხაზინაში უნდა შევიდეს. დასკვნა: ჭიათურის წარმოება, ქარხნები, მაღაროები საკავშირო ან უფრო სწორათ—რუსების საკუთრებად ხდება! თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქამდის ფაქტიურათ ფლობდა მოსკოვი ჭიათურას, ეხლა ის ფორმალურათაც მისი ბატონ-პატრონი ხდება.

აი, სანამდის მიიყვანეს ჭიათურის ბედი ქართველი მოდგმის არამზადებმა. გაიხსენეთ, ძველი რეჟიმის დროს, მიუხედავათ ხეპრული ჩარევისა ჭიათურის საქმეებში, თვით სიმდიდრე ქართველობას ეკუთვნოდა, ხოლო წარმოებაში მონაწილეობას იღებდენ აგრეთვე უცხოელი კაპიტალისტები. რუსის კაპიტალი, როგორც ასეთი, სრულიად არ იყო დაბანდული ჭიათურის საქმეში.

მაშასადამე, თავი იმით უნდა «ვინუგეშოთ», რომ მოდებაძე და სვანიძე ერთი მმართველად და მეორე თავმჯდომარედ დანიშნეს. მაგრამ ამ მხრივ ჩვენი საქმე წინეთაც არ იყო ცუდათ, საქართველოს საბჭოთა «მთავრობაც» ხომ ქართველებისგან შესდგება, ნუ დაივიწყებთ კვანტალიანსაც—ჩეკის შეფს! საქართველოს მთელი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ რამდენიმე მისმა ორგულმა შვილმა, სამშობლოს მოღალატემ და არამზადამ თფილი ადგილი მიიღოს მოსკოვისგან.

საქართველო უბრალო გუბერნიებად არის ქცეული, იმ განსხვავებით, რომ წინეთ მას ჰქონდა ასე თუ ისე საშუალება თავისი სიმდიდრე ხელიდან არ გაეშვა, დღეს კი არავინ ეკითხება მას, როგორც აფრიკის ზანგებს, მოდიან და ეპატრონებიან მის ავლადიდებას.

არამზადებს მეტი არაფერი დარჩენიათ, გარდა მუცელზე ხოხვისა ბატონის წინაშე. მაგრამ ბატონსაც უჭირს, საცაა წაიქცევა, აი რა აგდებს ყმებს საგონებელში. ისინი არ ცდებიან, სახალხო განსჯის დღე მოახლოებულია.

სასოწარკვეთილი ნაბიჯი.

რუსეთის სახელმწიფოებრიობის ისტორია ვარიაგების მოწვევით იწყება: «ქვეყანა ჩვენი დიდი და მდიდარია, მაგრამ წესრიგი არ არის შიგ, მოდით და იმეფეთ ჩვენზეო», ასე მიმართავდენ რუსების წინაპრები ვარიაგებს.

ბოლშევიკებიც დღეს ძველ მამაპაპურ ენით ალაპარაკდენ: რუსეთი მდიდარია ბუნებრივი სიმდიდრით, მიმართავენ ისინი უცხო კაპიტალისტებს, მაგრამ ქანქარი არ მოგვეპოება, რომ ეს სიმდიდრე გადავამუშაოთ და მოვიხმაროთ, მობძანდით, მოიტანეთ კაპიტალი, იას და ვარდს მოგიფენთ გზაზე, შეგიქმნით სანეტარო პირობებს არსებობისას, გახეირებთ და, ღვთის გულისათვის, ცოტა რამ ჩვენც გვიწყალობეთო.

ასე საცოდავათ ემუდარება მოსკოვის «რევოლიუციური» ხელისუფლება უცხო კაპიტალს. «ტორგოვო-პრომიშლენაია გაზ.» (15 სექტემ.) ვრცლათ მოგვითხრობს წითელი მოსკოვის ამ ტრაღედიას.

24 ივლისის სხდომაზე სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ძირითადი დებულებები კონცესიების გაცემისა. კონცესიები გაიცემა სატრანსპორტო, დამუშავებითი, სამთამადნო და სათბობ მასალის მრეწველობის დარგებში, საელექტრო-საამშენებლო, სატყეო მეურნეობის, სასოფლო მეურნეობის და მელიორაციის, ბამბის კულტურის, შაქრის და რძის მრეწველობის და კომუნალურ მეურნეობის დარგებში. ამგვარათ საბჭოთა ხელისუფლება იხმობს უცხო კაპიტალს მრეწველობის ყველა დარგში. ის საგანგებო პრივილეგიებს პირდება პიონერებს, იმ კონცესიონერებს, რომლებიც შექმნიან მრეწველობის ახალ დარგებს, საგანგებო შეღავათები ეძლევათ აგრეთვე იმ კონცესიონერებს, რომლებიც მოისურვებენ ფერად ლითონთა მადნეულობის ექსპლუატაციას, სამეტალურგიო, საავტომობილო და ქაღალდის ინდუსტრიის განვითარებას და ხელოვნურ აბრეშუმის ფაბრიკაციას.

ყოველ კონცესიონერს ეძლევა უფლება თავისი საქონლის თავისუფალი გაყიდვის; კონცესიონერებს ეძლევათ აგრეთვე საბაჟო შეღავათები უცხოეთიდან საწარმოო საჭიროებისათვის ნედლი მასალის თუ სხვადასხვა მანქანების შემოტანისას; საკონცესიო კაპიტალი უნდა იყოს უეჭველად უცხო კაპიტალი; კონცესიონერებს ეძლევათ უფლება სატეხნიკო-საადმინისტრაციო პერსონალი უცხოეთიდან მოიყვანონ.

ასეთია საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილება.

რას ნიშნავს ეს?—კომუნიზმის კაპიტულიაციას კაპიტალიზმის წინაშე. ბოლშევიკებმა ათი წლის განმავლობაში აწამეს ხალხი, ანთხიეს უმანკოთა სისხლი. რისთვის? ვითომდა კომუნიზმის დასამყარებლათ, მაგრამ კომუნიზმი დღითიდღე უფრო შორეული და მიუწდომელი ხდებოდა, მის მაგივრათ უშნო და ულაზათო სინამდვილე ეტუზებოდა ცხვირწინ «წითელ ოქტომბრის» «გმირთ». დამარცხება სიბრაზეს იწვევს. განრისხებულნი ბატონნი ახალ-ახალ საშვალებებს ეძებენ სინამდვილის დასათრგუნავათ. ახალი ღონისძიებანი ახალ უბედურებებს იძლევიან: ნივთიერი სიღატაკე, პოლიტიკური დესპოტიზმი, მორალური ველურება,—აი ატმოსფერა, რომელშიც უხდებათ სუნთქვა ბოლშევიკების ტყვეობაში მყოფთ. ეს აუტანელი ატმოსფერა დღითი დღე მძიმდება, უფრო და უფრო აუტანელი ხდება; ყველა გრძნობს, რომ მეტის ატანა აღარ შეიძლება, რომ უნდა დაიქცეს ის, რაც ცხოვრების უკუღმართობის ნაყოფია, რომ დღეს თუ არა, ხვალ ამობრწყინდება თავისუფლების მზე, მაგრამ დღე დღეზე მიდის, წყლულს წყლული ემატება, ხალხი ისევ იტანჯვის, მტარვალი კი ისევ ნეტარობს. დღეს მას სიმშვიდე დაკარგვია. გრძნობს რაღაც უბედურებას. ამიტომ ახალ გზებს ეძებს, ახალ საშვალებებს იგონებს, რათა კიდევ იბოგინოს, რათა კიდევ ინეტაროს, როს ხალხი კვნესის, მაგრამ ამაოა ყველაფერი, ვინც წამავალია, უნდა წავიდეს.

კიდევ ლენინმა გვიანდერძაო, მოგვითხრობენ დღევანდელნი «მოციქულნი», პატივი ეცით კაპი-

ტალსა უცხოსა, რათა კეთილი გეყოსთ და დღეგრძელ იყოთ ქვეყანასა ზედა, მაგრამ ჩვენ ეს ანდერძი ჩვენი მასწავლებლის დავივიწყეთ და ამიტომაც ვისჯებით, უნდა შევინანოთ სასწრაფოთ ცოდვანი ჩვენი, თუ გვსურს პირნათლათ წარვსდგეთ განკითხვის დღეს საშინელსა სამსჯავროსა წინაშე.

ასეთია დღეს ბოლშევიკების აღსარება. აღსანიშნავია, რომ ისინი ეროვნულ ბურჟუაზიას არ მოუწოდებენ კონცესიების ასაღებათ. მართალია, რუსეთში ეროვნული კაპიტალი ძლიერი არ იყო, მაგრამ ერთნაირ ძალას მაინც წარმოადგენდა. ბოლშევიკები წინააღმდეგნი არიან ეს მცირეოდენი ადგილიც დაუუთმონ მას, რადგან მასში ისინი შინაურ და მაშასადამე საშიშ კონტრ-რევოლიუციონერებს ხედავენ და მუშების თვალშიც ძლიერ ძნელი გასამართლებელი იქნებოდა შინაურ კაპიტალისტების (რომლებიც ათი წლის განმავლობაში იდევნებოდენ, იხვრიტებოდენ) თუნდაც მხოლოდ ეკონომიური რეაბილიტაცია. უცხო კაპიტალისტების შესახებ კი ბოლშევიკები ბევრ რამეს მოჩმახვას შესძლებენ: რომ ისინი უცხოელებია და მათ შინაურ საქმეებში ვერ ჩაერევიან, რომ მათ ეკონომიური უფლებები ექნებათ და არა პოლიტიკური და სხვ.

რაც შეეხება უცხო კაპიტალს, ჩვენის აზრით, სახალხო კომისართა მოწოდება დარჩება «ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა», რადგან ბოლშევიკური რეჟიმი კაპიტალისთვის მიუღებელია. კაპიტალს ესაჭიროება პოლიტიკური მყუდროება, გაწრთვნილი მუშა ხელი, შრომის დისციპლინა, ინიციატივისთვის გაშლილი სარბიელი და სხვ. რუსეთში არც ერთი ამ პირობათაგანი არ არსებობს: პოლიტიკური მყუდროება დიქტატურის რეჟიმში, სადაც სიცოცხლე, განდევნილი დღის სინათლიდან, არალეგალურ, საიდუმლო ფორმებში მიმდინარეობს, არასოდეს არ იქნება, ასეთ რეჟიმში ხვალინდელი დღე რას მოიტანს, არავინ უწყის; რაც შეეხება მუშათა კლასს, თვით ბოლშევიკების სიტყვით, იგი განადგურებულია, ნაწილი კვალიფიციურ მუშებისა სამოქალაქო ომში დაიხოცა, ნაწილი საადმინისტრაციო აგენტები გახდენ; შრომის დისციპლინა და შრომის ნაყოფიერებაც ამის გამო დაცემულია, თავისუფალ ინიციატივის გაშლილ სარბიელზე ზედმეტია ლაპარაკი იქ, სადაც ეტატიზმია გამეფებული. ასე რომ რუსეთში შიგნით დღეს ისეთი პირობებია, რომ უცხო კაპიტალისთვის იქ მუშაობა ხელსაყრელი არაა, მაგრამ აქ სხვა მომენტებიცაა აღსანიშნავი. რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს. რუსეთი დღემდის არ არის ცნობილი ამერიკის მიერ. ინგლისმა კიდევ უფრო ცუდი საქმე უყო მას,—ჯერ იცნო და შემდეგ გაწყვიტა მასთან დიპლომატიური კავშირი. საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობაც რაღაც სისხლნაკლულია.

საკონცესიო საქმეები დიდათ არიან დაკავშირებული წმიდა პოლიტიკასთან, თვითეული სახელმწიფო დიდათაა დაინტერესებული თუ სად, რომელ ქვეყანაში და რა პირობებში ამოქმედდება ეროვნული კაპიტალი. ამიტომ არ არის იოლი და მარტივი საქმე ამა თუ იმ უცხო კაპიტალის იმიგრაცია ამა თუ იმ ქვეყანაში, მით უმეტეს ძნელია ეს რუსეთში, რომელიც აქამომდე პოლიტიკურად და ეკონომიურად თითქმის იზოლიაციაშია. ისე მჭიდროთაა გადახლართული პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები ევროპის სახელმწიფოების რუსეთის მიმართ, რომ ძნელი დასაშვებია, რომ რომელიმე ამ სახელმწიფოთაგანმა მიზანშეწონილათ დაინახოს სეპარატიულათ რუსეთში საკონცესიო მუშაობის გაჩაღება. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ რუსეთი პირშავათაა ძველ კონცესიონერებთან, აუარებელი უცხო ქონება გააოხრა, თუ მიითვისა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, ეს ყოფილი კონცესიონერები ზარალის ანაზღაურებას მოითხოვენ, ბოლშევიკები კი ძველზე უარს ეუბნებიან და მათგან ახალ რისკს, ახალ მსხვერპლს, ახალ მილიონებს მოელიან!

ასეთ ბუღალტერიას, ვფიქრობთ, გასავალი ვერ ექნება.

ბოლშევიკებმა თავიანთი ათი წლის «საქმიანობით» სავსებით დაკარგეს ნდობა ევროპის თვალში. ნდობის აღდგენას კი დიდი დრო ესაჭიროება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნდობის საკითხს საკონცესიო საქმეებში, რადგან ჩვეულებრივათ ისინი გძელვადიანი და დიდი თანხის დაბანდებას ითხოვს. გაცილებით უფრო მარტივი და ნაკლები რისკის საქმეა ვაჭრობა რუსეთთან, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ვაჭრობაც შეუძლებელი შეიქნა მასთან. სხვაზე უფრო გერმანელები იყვენ მოწადინებული რუსეთთან ვაჭრათ, მაგრამ ზარალის მეტი მათ ვერაფერი ნახეს. «დეილი ტელეგრაფის» ცნობით, გერმანელმა მრეწველებმა დაკარგეს რუსეთში 50 მილ. გირვ. სტერლინგი (6.250.000.000 ფრ.), თუმცა ცდილობდენ მოეგვარებიათ სავაჭრო საქმეები ბოლშევიკებთან. ასეთი ფაქტების მოწამე ევროპა, რასაკვირველია, ბოლშევიკების მოწოდებას,—მობრძანდით და მილიონები მოიტანეთო,—კარგი თვალით არ შეხედავს. მით უმეტეს იქნება ევროპა გულცივი და აუჩქარებელი ამ შემთხვევაში, რომ მას არ უჭირს, მოთმენა შეუძლია, მისმა ეკონომიკამ ომის მიერ გამოწვეული ქაოტიური ხანა განვლო და დადებითი ფორმაციის გზაზე შედგა, ამ მხრივ იმდენათ წამოღონიერდენ ევროპის დიდი სახელმწიფონი, რომ ოქროს ვალიუტაზე გადასვლაც კი შესძლეს; მით უმეტეს იქნება ევროპა კიდევ გულგრილი და აუჩქარებელი ბოლშევიკების მოწოდებისადმი, რომ დრო მისთვის მუშაობს, საბჭოთა რუსეთს კი ასამარებს. საქმე იმაშია, რომ, როგორც იტყვიან, საბჭოთა ხელისუფლებას «სული კბილით» უჭირავს, მისი მდგომარეობა დღითი დღე კატასტროფიულათ უარესდება, ამას ყველა კარგათ ხედავს, თუმცა კრემლის ბატონები «იხტიბარს არ იტეხენ» და ბაქიბუქობას კიდევ განაგრძობენ, და დადგება დრო, და ეს დრო შორს არ უნდა იყოს, წითელი რუსეთი ლეშათ იქცევა და მაშინ ყველასათვის ადვილი საკორტნი იქნება. ამ დროს უცდის ოქროს მქონე ხალხი.

ვიმეორებთ დღევანდელ რუსეთში უცხო კაპიტალი არ შევა და თუ შევიდა, მაშინ დღევანდელი რუსეთი აღარ იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«რუსეთის პრობლემა» უდიდესი პრობლემაა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური თვალსაზრისით. ამ პრობლემითაა დაინტერესებული მთელი მსოფლიო, განსაკუთრებით დიდი სახელმწიფოები, რომელთაც საგრძნობი ნივთიერი ზარალი მიაყენა ბოლშევიკურმა კადატრიალებამ. რუსეთის საკითხი ისმება ყველგან პირდაპირ, თუ არაპირდაპირ, სადაც კი ესა თუ ის თვალსაჩინო საერთაშორისო მოვლენა წამოყოფს თავს; იქნება მთელი რიგი პოლიტიკო-ეკონომიურ ურთიერთობათა, რუსეთი ამ ურთიერთობათა გარეშე რჩება. და აქ არის უდიდესი ტრაგედია დღევანდელი რუსეთის და ყველა ის ძალა რუსული თუ არარუსული, რომელიც ხელს უწყობს ბოლშევიკური რეჟიმის გახანგრძლივებას, რუსეთის იზოლიაციისა და დაუძლურებისათვის მუშაობს. დროა ეს შესმენილ იქნას ვის მიერაც ჯერ არს და «მიეზღოს თვითეულს საქმისამებრ მისისა».

ილია ნუცუბიძე.

სანავთო პოლიტიკა და კავკასია.

I.

კავკასიას გეოგრაფიულათ ისეთი მდგომარეობა უჭირავს, რომ ისტორიულათ გამართლებული არის მისი მაღალი სტრატეგიული მნიშვნელობა. კავკასია არის ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, წინაპოსტი ჩრდილოეთისათვის სამხრეთისაკენ და ეს მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა იყო იმის მიზეზი, რომ კავკასიას არც ერთი ისტორიული ბრძოლა არ ასცდენია. მდიდარი თავისი ბუნებითა და მიწისგულით, სტრატეგიული ბაზა შუა და ახლო აღმოსავლეთისათვის, იგი ყოველი იმპერიისათვის სანუკვარი მოსაპოვარი იყო და მას შემდეგ, რაც რუსეთმა მრავალწლოვან ომის შემდეგ ეს უმნიშვნელოვანესი მხარე დაიპყრო, კავკასია გახდა ბუნებრივათ რუსეთის იმპერიის სამხედრო და სავაჭრო გზათ აღმოსავლეთისაკენ და სამხრეთ-დასავლეთისაკენ. მაგრამ კავკასია მდიდარია აგრეთვე მრავალი ნედლი მასალით და ნავთს, რომელიც ასე უხვათ ამოფეთქს ბაქოსა და გროზნოს გულიდან, უკანასკნელ ხანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა.

ბაქოს ნავთს იცნობდა ძველი აღმოსავლეთი; თვით ამ მხარის სახელი: აზერბეიჯანი ნიშნავს: ქვეყანა მუდმივი ცეცხლისა. აქ დაიბადა ცეცხლის სარწმუნოება, ზარატუსტრას კულტი, აქ მშვენიერებდა ცეცხლის თაყვანისმცემელთა ტაძრები, ერთი რომელთაგანიც უკანასკნელ დრომდე კიდევ არსებობდა. არაბი მეცნიერი მასსუდი 950 წელში პირველათ იძლევა წერილობით საბუთს ბაქოს ნავთის შესახებ და ევროპიელი პირველი მოგზაური, მარკო პოლო (1254-1323) სწერდა: «ჩრდილოეთისაკენ სძევს ცორცანია (საქართველო. ამ დროს ბაქოს მხარე მას ეკუთვნოდა) იქ კაცი ნახავს ნავთის ჭებს; ნავთი იმდენია, რომ მრავალი აქლემი შეიძლება დაიტვირთოს»-ო. მე-17 საუკუნიდან უკვე არაერთ ევროპიელ მეცნიერს ან მოგზაურს აღუნიშნავს ბაქოს ნავთის არსებობა (კემპფერი, ფოერსტერი და სხ.). მას შემდეგ, რაც რუსეთმა აზერბეიჯანი დაიპყრო (1804-1828 წ.წ.), ნავთიანი ადგილები გამოცხადებულ იქნა გვირგვინის საკუთრებათ და მხოლოდ 1872 წ. დაიწყო ნავთიან ადგილთა იჯარით გაცემა. კავკასიის ნავთის მრეწველობის განვითარება შვედელ ძმათა ნობელის გვართან არის დაკავშირებული. ნობელებმა მოაწყვეს პირველათ ნავთის მეცნიერული დამუშავება (1874 წლიდან) და მით საფუძველი ჩაეყარა ბაქოს ნავთის მრეწველობას, რომელსაც მსოფლიოში ხან პირველი და ხან მეორე ადგილი ეკავა. 1900 წელში ბაქო პირველ ადგილზე იდგა, ხოლო ამის შემდეგ იწყება ბაქოს ნავთის მცირება და ამის მიზეზათ პროფესორი გროეგერი აღნიშნავს: «არა გეოლოგიურმა ვითარებამ, არამედ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურმა, ეკონომიურმა და სოციალურმა პირობებმა და მსოფლიო მოთხოვნილებისაგან ნავთიანი ადგილების დიდმა დაშორებამ ნავთის წარმოებას უკან დაახევია»-ო. კავკასიის სანავთო მრეწველობაში განსაკუთრებულ შემაფერხებელ როლს თამაშობდა თვით რუსეთის მთავრობა, რომელიც თავის ფისკის ინტერესებისათვის გადასახადებით ამ წარმოებას პირდაპირ ძირს უთხრიდა. მაგალითად: 1910 წელში ერთი ფუთი ნავთის საშუალო ფასი უდრიდა 1 მანეთს და 69 კაპ.; აქედან 11,1 პროც. მოდიოდა ნავთის დამუშავებაზე, 35,5 პროც. კი მიჰქონდა აქციზს, 20 პროც. სჭირდებოდა ტრანსპორტს და 32,5 პროც. დალალთა ჯიბეში მიდიოდა. ასეთ პირობებში, ცხადია, კავკასიის ნავთს უჭირდა უდიდეს ამერიკულ სანავთო საზოგადოება სტანდარდ ოილთან ჯიბრი, რომელშიც იგი მარცხდებოდა. კავკასიის სანავთო მრეწველობა სულდგმულებდა უმთავრესათ უცხო კაპიტალით, რომელიც დაახლოვებით 243 მილიონ მანეთს უდრიდა; აქედან ინგლისური კაპიტალი შეადგენდა 71,5 პროც., ფრანგული 20,2 პროც., გერმანული 5,4 პროც. და ბელგიური 2,9 პროც. რევოლიუციის შემდეგ ეს პროპორცია ფრიად შეიცვალა და ამასთანავე ამერიკის კაპიტალმა კავკასიის ადგილობრივ მრეწველთა აქციების დიდი წილი შეიძინა.

II.

მსოფლიო ომის დროს კავკასიამ გამოიჩინა თავისი ბუნებრივი სტრატეგიული და ეკონომიური დიდი მნიშვნელობა; სტრატეგიულათ, როგორც გზამ აღმოსავლეთისაკენ და ეკონომიურათ: მარგანეცმა და ნავთმა პირველ ყოვლისა ცენტრალ სახელმწიფოთა ყურადღება მიიზიდა. კავკასიაზე პირველათ შეტევა დაიწყო ოსმალეთმა, რომელიც მალე უკუგდებულ იქნა; და როდესაც რუსეთში ამოხეთქა რევოლიუციამ, რუსის ჯარი მოსწყდა კავკასიის ფრონტს, კავკასიის ერებმა თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და შეიქმნა ამგვარათ ოთხი რესპუბლიკა: აზერბეიჯანი, მთა, საქართველო და სომხეთი. რევოლიუციისა და მძიმე ანარქიის პირობებში მსოფლიო ომის დროს დაიბადენ ეს სახელმწი-

ფონი და ოსმალეთმა დრო იხელთა თავისი ისტორიული ნატვრის განხორციელება: კავკასიის ქედზე მთვარიანი დროშის აფრიალება ეცადა. მაგრამ ოსმალეთი შეჩერებულ იქნა გერმანიის დახმარებით, რომელსაც აინტერესებდა კავკასია 1) როგორც სტრატეგიული ბაზა, 2) როგორც ნედლი მასალის მხარე, მანგანერცისა და ნავთის მიმწოდებელი. ლიუდენდორფი თავის განმარტებითი წერილში რაიხსკანცლერისადმი (Nr. R. 439 P.) საქართველოსათვის დახმარების გაწევის აუცილებლობას ამით ასაბუთებდა. მაგრამ თვით კავკასიაში მდგომარეობა გართულდა. ბაქოში ბოლშევიკებმა გადატრიალება მოახდინეს და 1918 წლის 25 ივლისს ბაქოს საბჭომ ბოლშევიკების წინააღმდეგ გადასწყვიტა სპარსეთში მყოფი ინგლისელები ბაქოს დასაცავათ მოეწვიათ. ბაქოს იცავდენ აზერბეიჯანის ხალხისაგან, მის წინააღმდეგ. ამნაირათ ინგლისელმა გენერალმა ტომპსონმა ბაქოში შემოიყვანა თავისი მცირე ჯარი. ინგლისელებს თავისი მიზანი ჰქონდათ: სტრატეგია და ნავთი; მათ სურდათ ხელი შეეშალათ გერმანიის წინწაწევისათვის და არ მიეცათ მისთვის ნავთი. მაგრამ როდესაც ბაქოს მიუახლოვდენ აზერბეიჯანის ჯარები, ინგლისელებმა ბრძოლა არ მისცეს, დასტოვეს ბაქო, რომელიც სამართლიანათ აზერბეიჯანის დედაქალაქათ იქნა გამოცხადებული. ამავე დროს, ხდებოდა ცენტრალ სახელმწიფოთა და რუსეთის დამატებითი საზავო მოლაპარაკება. 1918 წ. 17 აგვისტოს ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დამატებითი ხელშეკრულება კავკასიას ეხება. ამ ხელშეკრულების მე-6 თავი, მე-13 მუხლი ამბობს: «რუსეთი აცხადებს თავისთავს თანახმათ, რომ გერმანიამ იცნოს საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო არსება». მუხლი 14, აბზაცი 2. «რუსეთი შეძლებისდაგვარათ გააძლიერებს ბაქოს რაიონში ნავთის ამოღებასა და ნავთის პროდუქტთა წარმოებას და მიღებულ რაოდენობიდან ერთს მეოთხედს, ყოველშემთხვევაში თვიურათ წინდაწინ განსაზღვრულ ტონათა რიცხვის მინიმუმს, რომელზეც შეთანხმება უნდა მოხდეს, გერმანიას გადასცემს». როგორ მოხდა ეს, რომ გერმანიამ ვერ დაიცვა აზერბეიჯანის ინტერესი? ჯერ ერთი: ბაქო ეჭირათ ამ დროს ბოლშევიკებს; მეორე, გერმანიის მოთხოვნილებაზე აზერბეიჯანის შესახებ რუსეთი ყალყზე დგებოდა და უარზე იყო. გერმანული ოფიციალური განმარტება აღნიშნულ ხელშეკრულების შესახებ შემდეგს ამბობს:—კავკასიის სხვა სახელმწიფოთა შესახებ ვერ მივაღწიეთ ის შედეგი, როგორც საქართველოსათვის, რადგან საბჭოთა რუსეთი ბაქოსა და მისი ნავთის შენარჩუნებას მეტისმეტათ დიდ ფასსა სდებდა; გერმანია, რამდენათაც ეს მას ეხებოდა, რუსეთის სურვილს ვერ წაუვიდა, მით უფრო, რომ რუსეთი დათანხმდა ნავთის წილი გერმანიისა და მის მოკავშირეთათვის დაეთმოო. ასეთი მიზეზის გამო აზერბეიჯანი განმარტოებული აღმოჩნდა. კომუნისტური მოსკოვის მთავრობა, რომელმაც ერების თავისუფლება ხმამაღლა აღიარა, აზერბეიჯანს ხელიდან არ უშვებდა: ნავთის გულისთვის. მაგრამ ეს ბრძოლა მაინც აზერბეიჯანის სასარგებლოთ დასრულდა. აზერბეიჯანმა ბაქო დაიკავა და 12 სექტემბერს მისმა წარმომადგენელმა კონსტანტინეპოლში გერმანიის საელჩოს აღნიშნული ხელშეკრულების შესახებ პროტესტი განუცხადა *). მაგრამ ნოემბრის 11-ს დამარცხებულმა გერმანიამ დროებითი ზავს ხელი მოაწერა, გაუქმდა გერმანიის მიერ დადებული ყველა ხელშეკრულება და ინგლისმა თავისი ჯარები კავკასიაში შეიყვანა. საბაბი იყო ფორმალური: იქ, სადაც წინად გერმანიის ჯარები იდგენ, იქ სამაგიეროთ ანტანტის ჯარები უნდა მისულიყვენ. მიზეზი კი იყო: ნავთი. 1919 წლის 15 ნოემბერს ფრანგი სენატორი ბერანქე თავის მოხსენებაში საგარეო საქმეთა მინისტრისადმი, ამბობდა, რომ კავკასიაში საფრანგეთმა თავისი მოკავშირეების თანაბარი წილი უნდა მიიღოსო და დაბოლოს 1920 წლის სანრემოს ხელშეკრულებაში დამტკიცებულ იქნა მეექვსე მუხლი, რომლის თანახმათ: იმ ნაწილებში, რომელიც წინად რუსეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა, საფრანგეთმა და ინგლისმა თავის მოკალაქეთ ურთიერთი დახმარება უნდა მისცენ იმ მიზნით, რომ მათ მოიპოვონ ნავთის კონცესიები და შეიმსუბუქონ ნავთის გამოზიდვაო. კავკასიის ნავთის შესახებ მოლაპარაკება ხდებოდა მარტ-აპრილში და რუსეთმა, რომელიც გრძნობდა, ანტანტა კავკასიას მფარველობას გაუწევსო, წინდაუსწრო, დაიპყრო მთის რესპუბლიკა და 27 აპრილს დაიკავა ბაქო. ამდროს უკვე საქართველო და აზერბეიჯანი ანტანტის მიერ დეფაკტოთ აღიარებული იყო (10 იანვარი, 1920 წ.). ვინაიდან ძნელათ მიაჩნდათ კავკასიაში ანტანტის სამხედრო ძალების გაჩერება, მარშალ ფოშის მოხსენების მიხედვით სანრემოს კონფერენციაზე ანტანტამ თავისი თავი ამ საკითხში დაუინტერესებლათ გამოაცხადა და 1920 წლის ზაფხულში მისი უკანასკნელი ჯარის ნაწილი გავიდა ბათუმიდან. ერთი უნდა ითქვას: არც გერმანია და არც ინგლისი კავკასიის რესპუბლიკათა მიმართ მილიტარისტულ პოლიტიკას, დაპყრობას არ აწარმოებდა. ეს არ იყო სამხედრო იმპერიალიზმი, რომლის მსხვერპლი კავკასია მხოლოდ რუსეთის მხრიდან გახდა.

III.

რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ ზეიმით აღიარა ერთათვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის პრინციპი. ეს იყო ის ნიღაბური პოლიტიკა, რომელსაც ბოლშევიკები დღემდე მისდევენ. «ეკონომიჩესკაია ჟიზნი» კი სწერდა: «ჩვენ ერთადერთი გამოსავალი გვაქვს: მთელი ჩვენი ძალღონით გავამაგროთ ჩვენი წითელი ჯარი არა მარტო ცოცხალი ძალებით, არამედ ტეხნიკური ძალებითაც, რათა რაც შეიძლება მალე მოვიგოთ რუსეთისათვის დონეცის ბასეინი და კავკასია და ჩვენი ეკონომიური არსებობისათვის ეს აუცილებელი წყაროები ჩვენს სახელმწიფოს შემოუერთოთ». ამიტომ დაპყრობილ იქნა იარაღით ხელში მთიელთა რესპუბლიკა:—ნავთისთვის.

*) დაწვრილებით ამის შესახებ ჩემს წერილში: «პეტროლიუმპოლიტიკ დერ ველტ უნდ დას შიკზალ კავკაზიენს». ჟურნ. გეოპოლიტიკ. ბერლინი 1926, № 1 და II.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპყრობილ იქნა აზერბეიჯანი:—ნავთისთვის. ბოლშევიკებმა მოახდინეს მსწრაფლ ნავთის ნაციონალიზაცია და მთისა და აზერბეიჯანის ინტერესები მოსკოვის იმპერიულ ინტერესებს დაუმორჩილეს,—და ეს მსოფლიო რევოლიუციის სახელით გაასაღეს. ბაქოს საბჭოს ერთერთ მოწოდებაში ეწერა: «დონეცის ქვანახშირთან ერთად ბაქოს ნავთი არის მსოფლიო რევოლუციის მამოძრავებელი ძალა. ბაქოს მუშები პასუხისმგებელნი არიან მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე ნავთის მრეწველობის ბედისათვის... ბაქოს მუშებო! მილიონი პროლეტარები მოგჩერებიან თქვენ იმედით, მათ სჭირდებათ ნავთი, ნავთი და კიდევ ნავთი! თქვენ უნდა მისცეთ იგი მათ!» გამოდის: მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვდა მთისა და აზერბეიჯანის სისხლში ჩახრჩობას, სინამდვილეში კი, როგორც ეს უკვე აშკარაა, მხოლოდ რუსეთის დამპყრობელი პოლიტიკა თამაშობდა როლს, თორემ ნავთის მიღება ხომ ისედაც კარგათ შეეძლოთ... ჩვეულებრივი ვაჭრობის გზითა და განსაკუთრებული ეკონომიური ხელშეკრულებით. მაგრამ ამ შემთხვევაში საცარცვავი ნაკლები იქნებოდა! ამ სამხედრო იმპერიალიზმით სისხლში ჩახჩობილ მთასა და აზერბეიჯანს თან მიაყოლეს სომხეთის რესპუბლიკაც, რომელიც 1920 წლის 2 დეკემბერს რუსის ჯარებით გათელილ იქმნა. აქ ხომ ნავთი აღარ იყო! სამაგიეროთ აქ იყო პოლიტიკური ძლიერების (მახტპოლიტიშეს) გადიდებისა და სტრატეგიის ინტერესები. ამგვარათ, საქართველო რუსეთისაგან გარშემორტყმული აღმოჩნდა და რამოდენიმე თვის შემდეგ რუსეთი თავს დაესხა საქართველოსაც, რომელიც მას იურიდიულათ ნაცნობი ჰყავდა. 1922 წ. 2-5 აპრილის სოციალისტურ ინტერნაციონალთა აღმასრულებელ კომიტეტთა შეერთებულ სხდომაზე ბერლინში ბოლშევიკების წარმომადგენელმა რადეკმა აშკარათ განაცხადა: საქართველოს დაპყრობა ნავთის საკითხის გამო მოხდაო; საქართველო არის გზა და კარები ნავთისაკენ და ეს ჩვენ გვჭირდებოდაო. ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო რუსეთმა კავკასია, დაეპატრონა მის სიმდიდრეს და დაიწყო მით იაფი ვაჭრობა. მანგანერცი და ნავთი გამოიტანა მსოფლიო ბაზარზე და აწვდიდა ყველას, ვინც კი რაიმეს გამოიმეტებდა. დიდი ვაჭრობა გაიმართა გენუისა და ჰააგის კონფერენციაზე. გენუაში (1922 წელს) ევროპის სახელმწიფონი რუსეთს პირველათ შეხვდენ. სავაჭრო საგანი იყო უმთავრესათ:—ნავთი. ინგლისი და იტალია აშკარათ სცდილობდენ რუსეთთან მორიგებას ნავთის ანგარიშზე. საფრანგეთის მთავრობა ატყობინებდა თავის დელეგატს: სურთ კავკასიის ნავთის საკითხი დააყენონ და არ დაუშვათო. ინგლისმა რუსეთთან შემარიგებელი ფორმულა გამონახა, ხოლო საფრანგეთი და ბელგია და მათ უკან ამერიკის შეერთებული შტატები წინააღმდეგ ხაზზე იდგენ. პირველი მომხრე იყო წართმეულ კერძო საკუთრებაში კომპენსაცია მიეღო, მეორენი მოითხოვდენ თვით საკუთრების უკან დაბრუნებას. ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევამ საფრანგეთ-ბელგიაზე დაყრდნობით უშედეგოთ ჰქმნა ეს დიპლომატიური მოლაპარაკება გენუაში, რომელიც შემდეგში თვით ნავთის მაგნატების მიერ ჰააგაში იქმნა გაგრძელებული, სადაც ამერიკულმა სტანდარდ ოილმა იგივე როლი ითამაშა, როგორც გენუაში. ინგლისური კომპანიები შეეცადენ ცალკე ხელშეკრულება დაედოთ რუსეთთან, მაგრამ ამან დანარჩენებში ისეთი აღშფოთება გამოიწვია, რომ ცდაზე უარი იქნა საჭირო. ამის შემდეგ შეიქმნა საერთო ფრონტი რუსეთის ნავთის შესახებ, მაგრამ მოსკოვი ხელიდან შემთხვევას არ უშვებდა მოქიშპე კომპანიებთან ლაპარაკი გაემართა და საერთო ფრონტი გაერღვია. ხშირათ ამტყდარა დიდი ალიაქოთი ამ საკითხის გარშემო, ამ საინტერესო ისტორიას აქ ვერ გავყვები, მხოლოდ აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ცნობით, ინგლისურ-ამერიკული სანავთო ინტერესები შეთანხმდა და კავკასიის ნავთზე ხელისდადების ცდა დაიწყო. ჯერ ეს საქმე საბოლოოთ არ არის გადაწყვეტილი *), მაგრამ მაინც თითქოს მივიწყებულია კავკასიის ერების ინტერესი! თითქოს ჩაჰყლაპა ნავთის ინტერესმა კავკასიის ხალხთა ბედი! ინგლის-ირლანდიის გაცხარებული ბრძოლის დროს ლოიდ ჯორჯი თავის წერილში ირლანდიის ბრძოლის ხელმძღვანელ დევალერას გეოგრაფიული ინტერესით უსაბუთებდა ინგლისისათვის ირლანდიის საჭიროებას, რაზეც დევალერამ უპასუხა: ირლანდიის ერის ინტერესი გეოგრაფიას ვერ შეეწირებაო. და არც შეეწირა. ვერც კავკასიის ერები შეეწირებიან გეოგრაფიულ თუ ნავთის ინტერესებს. ეკონომიური ინტერესები გარდამავალია; ომის წინ ქვანახშირსა და ფოლადსა ჰქონდა გადამჭრელი სიტყვა პოლიტიკაში; დღეს ნავთსა აქვს. ხვალ შეიძლება სხვა რამეს ექნეს. მაგრამ ეკონომიური ინტერესები გადაილახება აგრეთვე. ხოლო თავისუფლებისათვის ბრძოლა მუდმივი და შეუდრეკელია სანამ მიზანი მიღწეული არ იქნება. და ეს მიზანი მიღწეული იქნება, რადგან ამის თავდებია: თვით კავკასიის ერების სიცოცხლის ბუნების ლოღიკა და უფლება, რომელიც დღეს საერთაშორისო ცხოვრებაში ნელი ნაბიჯით, მაგრამ მტკიცეთ გზას იკაფავს.

ვიკ. ნიჭხაძე.

*) გაზეთების ცნობით ეს მოლაპარაკება ჩაიშალა.

თ უ რ ქ ე ს ტ ა ნ შ ი.

თურქესტანი ეწოდება იმ მხარეს, რომელიც რევოლუციამდე ცნობილი იყო «რუსის ტურქესტანის» სახელით და შეიცავდა 5 ოლქს (კასპიის იქითა, სამარყანდის, ფერგანის, სირ-დარიის და სემირეჩიის) და 2 ვასალურ-სახანოს—ბუხარას და ხივას. მისი სივრცე უდრის 1.731 ათასს ოთხ. ვერსტს, ე. ი. ომის წინა დროინდელ გერმანიას, ავსტრო უნგრეთს, იტალიას და საფრანგეთს ერთად შეერთებულს. თურქესტანი ესაზღვრება ჩინეთს, სპარსეთს და ავღანისტანს და სულ რამდენიმე ათეულ კილომეტრითაა დაშორებული ინგლისის ინდოეთს.

თურქესტანის ასეთი გეოგრაფიული მდგომარე-

ობა, საიდანაც შესაძლებელი იყო გავლენის მოხდენა დასახელებულ კუთხეებზე, უყურადღებოთ არ დასტოვეს რუსის დამპყრობელებმა. რუსები უთვალთვალებდენ თურქესტანს პეტრე პირველის დროიდან. მაგრამ რუსეთსა და თურქესტანს შორის მდებარეობდა თვალუწვდენელი ველები ყაზახ-ყირგიზეთისა, სადაც ცხოვრობდენ მომთაბარე თურქი ტომები. რუსეთის დედოფლის ანა იოანოვნას დროს მცირე ურდოს (იყო სამი ურდო: უმფროსი, საშუალო და მცირე) ხანმა აბულქაირმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო იმ განზრახვით, რომ თავის ჩამომავლობისთვის დაემკვიდრებია ხანის ტახტი. ეს ამბავი მოხდა 1730 წელს და იგი შეამზადეს ბაშკირელმა მურზებმა, რომლებიც რუსის მთავრობასთან მსახურობდენ. აბულ-ქაირ ხანის რუსებისკენ გადმოსვლას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ბაშკირმა, პოლკოვნიკმა მირზა მამედ ტევკელევმა, რომელიც რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში თარჯიმანად მსახურობდა. ეახლა აბულ-ქაირ ხანს და დაიყოლია მიეღო რუსეთის ქვეშევრდომობა და დაპირდა ხანობის შენარჩუნებას მისი მემკვიდრეობისთვის და იმასაც, რომ ყველა «ყირგიზ-ყაისაკის ურდოების» ხანი გახდებიო.

ყაზახ-ყირგიზების (ანუ მარტივად ყაზახების) ხანების ხელმწიფობა მტკიცე არ იყო. ხალხი მხოლოდ იმ ხანს მორჩილებდა, რომლის არჩევნებში თემთა წარმომადგენლები იღებდენ მონაწილეობას. არჩევნებში გამარჯვება ადვილი არ იყო, საჭირო იყო გავლენიანი პირების მომხრობა, მუდამ კარგი განწყობილების შენარჩუნება მათთან. ამიტომ იყო, რომ ხანები ყოველნაირის საშუალებით ცთილობდენ ტახტის დამტკიცებას თავის მემკვიდრეობისთვის. იყვნენ ხანები ჩინეთის ორიენტაციის. ეხლა გაჩნდა რუსეთის ორიენტაციის ხანი აბულ-ქაირი, რომელმაც მიიღო «დიდი რუსეთის დედოფლის მაღალი მფარველობა» და ამით გზა გაუხსნა რუსეთს შუაგულ აზიისკენ, თურქესტნისკენ.

თავისთავად ცხადია, რომ რუსის დედოფლის მფარველობა მგლის მფარველობას ჰგავდა. არსად იყო არც ხანის უფლების, არც საკუთარი მეფური სიტყვის პატივისცემა. შემდეგმა მეფეებმა განაგრძეს ეს პოლიტიკა და მოკლე დროში ყველა ყაზახის ურდოები რუსეთის ხელქვეით მოიქცნენ.

პირველი ფეხმოსადგმელი ბაზა აწინდელ თურქესტანში რუსებმა გაიჩინეს 1847 წ. არალის ზღვასთან. დაიწყეს თურქესტანის დაპყრობა, რომელიც სწარმოებდა ორის მხრიდან: ორენბურგიდან და ციმბირიდან. 1853 წ. რუსებმა აიღეს აკ-მეჩეთი, რომელსაც პეროვსკი დაარქვეს, 1860 წ. ალმა-ატა, რომელიც ვერნი-ს სახელით მონათლეს. თანდათან დაიპყრეს სხვა ადგილებიც და 1867 წ. დაარსეს თურქესტანის საგენერალგუბერნატორო სირ-დარიის და სემირეჩიეს ოლქებით. 1868 წ. 29 იანვარს რუსის მთავრობამ ხელშეკრულობა დასდვა კოკანდის ხანთან ხუდოიარ-ხანთან. ხალხი ძალიან უკმაყოფილო იყო ამ ხანის და ამიტომაც უკანასკნელი რუსების დახმარებით ცთილობდა ზურგის გამაგრებას. რუსები მეტად უდიერად ეპყრობოდნენ სეიდ-ხუდოიარ-ხანს, მაგრამ ის ხმას ვერ იღებდა, მტკიცედ ასრულებდა ახალ ბატონების ბრძანებას და ღალატობდა თავის ქვეყანას. 1868 წ. რუსეთმა დაიპყრო სამარყანდი და ამავე წელს ბუხარის ემირმა აღიარა თავისი თავი რუსეთის ვასალად და ხელი აიღო მის სასარგებლოთ სამარყანდსა და კატა-ყურგანზე. ამის სანაცვლოთ რუსებმა ბუხარის ემირს დაუმორჩილეს აღმოსავლეთი ბუხარა, რომელიც ორ საბეგოთ იყო დაყოფილი და არ სცნობდა ემირის ხელისუფლებას. რუსის ხიშტებისვე წყალობით ემირმა დაამარცხა თავის მემკვიდრე, რომელიც ტახტს ედავებოდა, და გააქცია იგი ინდოეთში.

თუ რამდენად გულწრფელად «მეგობრობდა» რუსეთი ბუხარას, ეს ნათლად სჩანს სამხედრო მინისტრის მილიუტინის წერილიდან (1868 წ. ივნისი) თურქესტანის გენ. გუბერნატორ კაუფმანის სახელზე: «მოსალოდნელია, რომ ემირი ვერ შეინარჩუნებს თავის ხელმწიფობას ბუხარაში, და მაშინ ჩვენ მოგვეცემა შემთხვევა, მის ადგილზე ავირჩიოთ სხვა უფრო ერთგული პირი»...

1869 წ. რუსებმა დააარსეს კასპიის ზღვის ნაპირას კრასნოვოდსკი. ამგვარად ვუახლოვდებით თურქმენეთის (კასპიის იქითა ოლქად წოდებული შემდეგ) დაპყრობას. მაგრამ ჯერ საჭირო იყო ხივასთან საქმის გათავება. 1873 წ. გენერ. კაუფმანმა დაიკავა ხივა და ხივის ხანთან დადებულ ხელშეკრულობით უკანასკნელი გახდა რუსეთის ვასალი. 1875 წ. კოკანდში აჯანყება მოხდა, რუსების მეგობარი სეიდ-ხუდოიარხანი რუსეთში გაიქცა. ამას მოყვა ის, რომ რუსებმა კოკანდის სახანო გააუქმეს (1876 წ.) და მის ალაგას დააწესეს ფერგანას ოლქი.

ამის შემდეგ რუსებმა თურქმენეთში შესვლა დაიწყეს. მამაცი და მეომარი თურქმენები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ. 1877 წ. რუსებმა აიღეს კზილ-არვათი, 1881 წ. გეოქ-ტეპე და ასხაბადი და ამავე წელს შეადგინეს თურქმენთა ადგილებიდან კასპიის იქითა მხრის ოლქი. თურქმენეთი ჯერ კიდევ მთლად არ იყო დაპყრობილი. უკანასკნელი სიმაგრე მერვი დაეცა 1884 წ.

ჯერ მთლად არ შემოგვიფარგლავს «რუსის თურქესტანი». მხოლოდ 1885 წ. მიაღწია რუსეთმა შუა აზიაში სასურველ საზღვრებს. როცა ავღანელებს წაართვა კუშკას ციხე. 1887 წ. რუსებსა და ავღანელებს შორის დადებულ ხელშეკრულობით რუსეთს დაუმტკიცდა კუშკა და მიწები მდინ. მურგაბუს ნაპირად. 1895 წ. რუსეთმა და ინგლისმა საბოლოოდ გაარკვიეს რუსეთ-ავღანისტანის საზღვარი პამირზე და შემდეგ წელს დამტკიცდა ის მცირე ზოლი ბუხარასა და ავღანისტანს შორის, რომელიც აშორებს ერთმანეთს რუსის თურქესტანსა და ინდოეთს.

აი მოკლედ თურქესტანის დაპყრობის ისტორია. ამ უზარმაზარი ქვეყნის დაპყრობა რუსეთს დაუჯდა ძლიერ იაფად: 1847 წ.—1872 წ. რუსის ჯარს გამოაკლდა მხოლოდ 400 მოკლული და 1600 დაჭრილი. თურქმენეთის დაპყრობას დასჭირდა ცოტა მეტი: 445 მოკლული და 1101 დაჭრილი. ასე რომ მთელი ხარჯი უდრის 1000 მოკლულს და 3000 დაჭრილ რუსის ჯარის კაცს.

ჭეშმარიტად ძლიერ იაფად ჩაიგდეს ხელში რუსებმა ჩვენი სამშობლო!

ამის მიზეზი მარტო რუსეთის სამხედრო სიძლიერე არ იყო.

ხანების გამცემლობა და ხალხის ეროვნული შეუგნებლობა, ეროვნული მთლიანობის მცნების უქონლობა—აი რა იყო ჩვენი დამცირების და დაცემის მთავარი მიზეზი.

როგორც ოაზისები უდაბნოში ისე მოსჩანან ზოგიერთი გმირები: სრიმ ბატირი, სულთან კენესარი, სულთან სიდიკ, მულა ალიმ კულა და გეოკ-ტეპეს გულადი თურქმენები...

მე, დამწერი ამ სტრიქონებისა, არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, რომელნიც ადიდებენ ყველაფერს თავისას და არსად ხედავენ ნაკლს. არც ვიზიარებ იმათ შეხედულობას, რომლებიც რუსების გამარჯვებაში ხედავენ ბედის გადაწყვეტილებას, უფლის ნებას—«რუსის ჯარში წმინდა მოციქულები იყვნენო».

გასაკვირველია, რომ ამ «ბედის», «უფლის» (ალაჰის) და «მოციქულების» დამცველებად გამოვიდნენ პირველად ჩვენი ჟურნალის «იენი თურქესტან»-ის (სტამბოლში გამოდის) ორი პასუხისმგებელი ხელმძღვანელი.

არა. საქმე სულ უბრალოთ იყო: რუსებს უნდოდათ ჩვენი ქვეყნის დაპყრობა, ჩვენ ვიყავით უძლურნი, ჩვენმა წინამძღოლებმა, ხანებმა კი გაგვცეს. აი ამიტომ ჩავვარდით «თეთრი მეფეების» ხელში.

როგორ გვპატრონობდენ თეთრი მეფეები, რა მოგვცა რუსეთის რევოლუციამ და რა გვინდა ჩვენ—ამაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ.

მუსტაფა ჩოკაევ.

საქართველოს საკითხი.

«ჟურნ. დე ჟენ.»-ის რედაქტორი შაპიუზა სწერს ნანსენის ახლად გამოსულ წიგნის გამო («სომხეთი და ახლო აღმოსავლეთი»): «ნანსენის ნაწარმოები შეიცავს მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, მარტივად მოთხრობილს და ყურადღებას იზიდავს. მაგრამ ზოგი რამ სადავოა, რადგან როგორც სჩანს, ბევრი საძაგლობა და საშინელება არ უჩვენეს და დაუმალეს მას. გაბალშევიკებული საქართველო მიეგება დიდს მეცნიერს. ხოლო არის მეორე საქართველო გლოვის მანდილით დაფარული, რომელიც იტანჯება; არის მეორე, რომელიც თავის გულში—და ქაღალდზედაც—ატარებს დიდი სახელმწიფოების საჯარო დაპირებას, რომ დაიცავენ მის დამოუკიდებლობას; არის მეორე საქართველო, რომელსაც ბოლშევიკების წალამ ვერ ჩაუკლა მშვენიერი რწმენა განთავისუფლების».

—

მთელს შვეიცარიაში ამჟამად საკანონმდებლო არჩევნებია. ჟენევის კანტონის დემოკრატიულმა პარტიამ თავის საარჩევნო მოწოდებაში გამოაცხადა, რომ ის წინააღმდეგია აღდგენილ იქნეს დამოკიდებულება საბჭოებთან, რომელთაც ძალით დაიმორჩილეს ერები და სჩაგრავენ მათ: «ჟენევის დემ. პარტიას სახეში ყავს საქართველო, აზერბეიჯანი, სომხეთი, ჩრდილო კავკასია, უკრაინა, თურქესტანი. ვისურვებთ, რომ ამ მაგალითს გაყვენ სხვებიც, რომ სახელმწიფოებმა, რომელთაც იცვნეს უკვე საბჭოები, შეიგნონ და გამოასწორონ თავიანთი შეცდომა».

—

საქართველოს დამცველი საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე ჟ. მარტენი ეხება განიარაღებას და მოითხოვს სავალდებულო არბიტრაჟის დაწესებას, რომელიც დაუფასებელ სარგებლობას მოუტანდა კაცობრიობას. «მაგრამ—ამბობს იგი—ჩვენ კიდევ დაშორებული ვართ ამ დღეს, ვინაიდგან არსებობს სახელმწიფო, როგორც საბჭოებია, რომელიც დასცინის თავის ხელმოწერილს პირობას, ფეხით სთელავს მას და ახორციელებს მილიტარისტულ იმპერიალიზმს: ამის მოწამეა საქართველო! ვიდრე ასეთი მდგომარეობა გაგრძელდება, რასაკვირველია რუსეთის მეზობლები ვერ იქნებიან უზრუნველყოფილნი და დარჩებიან შეიარაღებულნი».

უცხოეთის მიმოხილვა.

საზღვაო კომპრომისი.

როგორც იქნა გამოაქვეყნეს პარიზსა და ლონდონში ეგრ. წოდ. საზღვაო კომპრომისი და მასთან დაკავშირებული მთელი მიწერ-მოწერა. აღმოჩნდა, რომ სასენსაციო არაფერი ყოფილა, არც საიდუმლო ხელშეკრულება საფრანგეთსა და ინგლისს შორის; მათ თვითონვე გადაუგზავნიათ კომპრომისის ასლები ამერიკის, იტალიის და იაპონიის კაბინეტებისთვის და მათი პასუხის მიღებამდე საქმის გამომჟღავნება უბერხულათ დაუნახავთ. აღმოჩნდა ისიც, რომ თაოსნობა პარიზსა და ლონდონს შორის მოლაპარაკებაზე განიარაღების კომისიიდან გამოსულა, ჟენევაში, და თვით ამ კომისიის მუშაობა მისგან ყოფილა, უწინარეს, დამოკიდებული. უკვე ისედაც აშკარა იყო, რომ განიარაღების საქმე გაყინულ წერტილზედ იდგა და ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ინგლისი და საფრანგეთი, იგივე ინგლისი და ამერიკა ვერ შეუთანხმდენ ერთმანეთს. ამიტომ, როცა ამ ზაფხულს ჩემბერლენმა განაცხადა თემთა პალატაში, რომ კომპრომისი მიღწეულია საფრანგეთთანო, თავისუფლათ ამოისუნთქვეს ევროპაში და ერთა ლიგის ყრილობამ, სექტემბერს, არ დააყოვნა თავისი დასკვნა გაეკეთებია აქედან და განიარაღების კომისიას ვადაც კი დაუნიშნა—მომავალი წლის დასაწყისი—მუშაობის განახლებისათვის.

მაგრამ არ გასულა დიდი ხანი და ამერიკამ ცივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაცხადა კომპრომისის მიღებაზე, რასაც მოჰყვა უარი იტალიისა და იაპონიის მიერ. ამ რიგათ, ეს მიღწევა გაბათილებულ იქნა და ეხლა ეძებენ სხვა გზებს შეთანხმებისთვის. უნდა ითქვას, მთავარნი მეტოქენი საზღვაო კითხვებში ამერიკა და ინგლისი არიან, მათ კიდეც სცადეს შეთანხმება შარშან—სამთა კონფერენცია—, მაგრამ უნაყოფოთ. ერთში თავიდანვე დაუთმო ინგლისმა ამერიკას—ძალთა თანასწორობა ზღვაზედ—, და ეს კიდეც განახორციელეს დიდი სამხედრო გემების შესახებ ვაშინგტონის კონფერენციაზედ 1922 წ. დავა ეხება, მაშასადამე, საშუალო (10.000 ტონიან) და მჩატე კრეისრებს. მაშინ როდესაც ამერიკა ამბობს, მე არ მესაჭიროება მჩატე კრეისრებიო, ინგლისი უპასუხებს ჩემთვის კი საშუალო კრეისრები გამოსადეგი არ არისო. ეს განსხვავება იმით აიხსნება, რომ ამერიკას არა აქვს სამხედრო—საზღვაო ბაზები გარეთ, სადაც შეეძლოს შეივსოს ნაკლი ნავთის თუ სხვა საგნების, ამიტომ მას ეჭივრება დიდი და საშუალო გემები, რომ უფრო დიდი ხნის მგზავრობა აიტანონ; ინგლისს, პირიქით, ასეთი ბაზები დედა-მიწის ყოველ ნაწილში აქვს და თან, ვინაიდან მისი იმპერია დიდია თავისთავათ, მას უფრო მჩატე და მრავალ-რიცხოვანი კრეისრები ეჭივრება. ინგლის-ფრანგული კომპრომისი ინგლისს დაკმაყოფილებას აძლევდა ამ შხრივ და სამაგიეროთ საფრანგეთი იღებდა უფლებას ქვეშმავალი გემები მეტი ჰყოლოდა თავის ნაპირების დასაცავათ. ესეც მიუღებელი იყო ამერიკისთვის, რადგან ის ქვეშმავალთა მთლათ აღკვეთასაც კი მოითხოვდა წინეთ. ამის გარდა, ინგლისი უთმობდა საფრანგეთს გაწრთვნილ სათადარიგო ჯარის ყოლას.

რაც შეეხება იტალიასა და იაპონიას, განსაკუთრებით პირველი იყო გაწყინებული. მუსოლინმა წამოაყენა ლოზუნგი: არც ერთ სახელმწიფოს ევროპის კონტინენტზედ, ე. ი., ინგლისის გარდა, იტალიაზე მეტი სამხედრო ძალა არ უნდა ჰყავდეს ხმელეთზედ, და ჰაერშიო. ცხადია, მას ნიშანში საფრანგეთი ჰყავს ამოღებული, და აქედან უთანხმოება ამ ორ სახელმწიფოს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა განიარაღების კითხვაში. ყველაზე ნაკლებ ხმაურობს იაპონია, არ ედავება არავის და მზათაა რაიმე საშუალო ფორმულა გამონახოს ხუთივე დიდი სახელმწიფოს შესარიგებლათ. დანარჩენი ორი დიდი სახელმწიფო გერმანია და რუსეთი ჯერ განზე დგანან: პირველი განიარაღებულია, ხოლო მეორე გარიყული.

შეიძლება ითქვას, რომ გამოსავალი არ არსებობს? ასეთი პესიმისტები ბევრია დღეს, მოსკოვში კი დიდათ ხარობენ, რომ საცაა სახელმწიფოები ერთმანეთს დაეჯახებიან და ნადავლს ჩვენ ავიღებთო. ტყუილი იმედია. ისე ძლიერია ევროპა-ამერიკაში მისწრაფება შეიარაღების შეჩერება-შემცირებისა, რომ მთავრობები იძულებული იქნებიან გამონახონ გზები და საშუალებები ამ მიზნის მისაღწევათ. ამისათვის მუშაობს მთელი საერთაშორისო დემოკრატიაც.

არც იქით, არც აქეთ.

არ გასულა სამი კვირაც, რაც საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა უშველებელი სია კონცესიებისა კავშირის მთელს ტერიტორიაზედ, რომლითაც ის ხიბლავს კაპიტალისტურ სამყაროს და თან პირდება მას არაჩვეულებრივ შეღავათებს წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში. შეიძლება ითქვას, ეს კონცესიები სანახევროთაც რომ განხორციელდეს და უცხოეთის კაპიტალისტები მართლა რომ წავიდენ საბჭოთა წინადადებაზე, კავშირი თავისიკე ნებით უხსნის ფართე ასპარეზს კაპიტალისტურ წყობილებას და ერთგვარ თურქულ კაპიტულაციების უღელში ჰყოფს თავს.

მეორეს მხრით, კომპარტიის პლენუმმა გააუქმა, კიდევ ადრე, ყველა ის შევიწროებანი, რომლებმაც აამხედრეს გლეხობა, და აღადგინა მათი უფლება თავისუფალი ვაჭრობისა სასოფლო ნაწარმოებთა კავშირის შიგნით.

ეს ორი ზომა—კონცესიები და სასოფლო ნეპი—უკვე მაჩვენებელი იყო იმისა, რომ კომპარტია და მისი პოლიტ-ბიურო მარჯვნით გადახრილიყვენ და ერთგვარ ლიკვიდაციას უშვრებოდენ სტალინის ტროცკისტულ ხაზს, თვით ტროცკის დამარცხების შემდეგ. მაგრამ ეხლა, როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, სტალინი ისევ აბრუნებს კეხს და ილაშქრებს მარჯვნით გადახრის წინააღმდეგ! გამოდის ცე-კას მიმართვა მოსკოვის კომიტეტის მიმართ, სტალინიც სიტყვას წარმოთქვამს, იმის შესახებ, რომ მემარჯვენე ელემენტები პარტიაში და თვით ცე-კაში პოზიციებს უთმობენ ნეპმანებს და კულაკებს და კაპიტალისტური წყობილების აღდგენისაკენ მიემართებიანო. განსაკუთრებით მოსკოვის ორგანიზაციაში დაუბუდნიათ ასეთ ელემენტებს და «ჰკა მაგათო». შედეგმაც არ დააყოვნა: მოსკოვის ორგანიზაციიდან ბევრი პასუხისმგებელი პირი გარიცხეს, ბევრიც დაატუსაღეს, იმავე ზომებს იღებენ კავშირის ყველა მნიშვნელოვან ადგილებში, მოდის იქიდან წინასწარ დაკვეთილი რეზოლიუციები მემარჯვენე საშიშროებაზე და სხ.

სტალინი უარყოფს «ჭორებს», ვითომ პოლიტ-ბიუროშიც დაებუდნოს მემარჯვენე გადახრას, არა იქ სრული თანხმობა სუფევსო. იმავე დროს ყველასათვის ცხადია, რომ გადახრის მეთაურებად რიკოვი და კალინინი ითვლებიან, სტალინი სწორეთ ამათ ებრძვის, მხოლოდ ჯერ დაბლიდან იწყებს შეტევებს. ასე იყო ტროცკის მიმართაც: ჯერ გამოაცალა მას მომხრენი პარტიაში «გაწმინდა» ის, შემდეგ თვით ლიდერიც ჩამოაბრძანა ტახტიდან და გადაასახლა.

როგორ უნდა გავიგოთ ეს ზიგ-ზაგი? უბრუნდება თუ არა სტალინი ძველ ხაზს, ე. ი., უკან მიაქვს თუ არა ეკონომიური დათმობები მარჯვნით? კაპიტალიზმისთვის ხელშემწყობი პირობები მთლათ არ აღმოგვიფხვრია, წვრილი წარმოება ჯერ კიდევ ჭარბობსო—ამბობს ის—და ამიტომ მარჯვნით გადახრა საშინელ საფრთხეს უმზადებს «პროლეტარიატის დიქტატურასო». აქედან თითქოს ცხადია, რომ სტალინი სერიოზულათ ფიქრობს უკან დახევას მარცხნით. მაგრამ ერთი გარემოება საეჭვოთ ხდის ამას: მოახლოებულია საბჭოების გადარჩევა და სწორეთ იქ სურს მას გაიყვანოს თავისი მომხრეები—აი დემაგოგიის სათავე. ამიტომ მოსალოდნელია, სტალინმა ნაცადი ტაქტიკა განიმეორეს: განდევნის მემარჯვენეთ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიკოვ-კალინინსაც ზედ მიაყოლებს, ხოლო თვითონ მიყვება მათი პროგრამის განხორციელებას! გასცემს კონცესიებს, სხვაშიც დათმობს უცხოეთის მიმართ, კულაკებსა და ნეპმანებსაც მისცემს ერთგვარ შვებას თავის გაპიროვნებული დიქტატურის ქვეშ!

ჩვენ მხოლოდ ასეთ შესაძლებლობაზე ვაქცევთ ყურადღებას, თუმცა დარწმუნებული არა ვართ მასში. არც იქით, არც აქეთ—აი როგორი ჩიხის წინაშე სდგას მოსკოვი. ადვილი იყო პროპაგანდისტ-აგიტატორების (ძველი ოპოზიცია) მოხსნა, იქნება თუ არა ასე ადვილი მეურნეთა (ხოზიაისტვენიკების) მოხსნა? შესძლებს თუ არა სტალინი ეკონომიური ბორბლის უკუღმა დატრიალებას? რუსეთში ყველაფერი მოსალოდნელია, თორემ ამ კითხვებზე უარყოფითათ უნდა გვეპასუხნა—ვ ე რ შ ე ს ძ ლ ე ბ ს. ჩვენ ადგილი არა გვაქვს, რომ შევეხოთ ახალ გამაერთიანებელ მიდრეკილებებს მთელს ევროპაში, საბჭოთა კავშირის წინაამდეგ. ეს ისეთი მძლავრი ტალღაა, რომლის წინაშე ქედი უნდა მოიხაროს მოსკოვმა, თუ არ უნდა სტიქიურათ დაიმსხვრეს ბოლშევიკური ხელისუფლება. ერთი სიტყვით, დათმობა თუ არ დათმობა, ბოლო ერთია—სამარცხვინო დამარცხება.

რას სწერენ ბოლშევიკებზე.

ჟ. მარტენი შვეიცარიის ფრიად გავლენიან გაზ. «Jur. de Gen.»-ში ერთხელ კიდევ ეხება ბოლშევიკების ცნობის საკითხს და ამკობს, რომ ყოვლად შეუძლებელია «ურთიერთობის აღდგენა საბჭოებთან, რომელნიც პატივს არ სცემენ მათ მიერვე ხელმოწერილს ხელშეკრულობას, რომლებიც სჩაგრავენ იარაღის ძალით დამორჩილებულ ერებს და რომლებმაც ესოდენ დააზარალეს შვეიცარიის ქვეშევრდომნი რუსეთში და არა სურთ აუნაზღაურონ მათ ზარალი». ასეთი გადაწყვეტილება შვეიცარიისა სრულებით შეეფერება მის ღირსებას და ეთანხმება ნაციათა ლიგის დებულებასაც. «ნაციათა ლიგის პაქტის პირველი მუხლი მოითხოვს წევრად მისაღებ კანდიდატისაგან ნამდვილ გარანტიას იმისას, რომ გულწრფელი სურვილი აქვს საერთაშორისო ვალდებულებათა დაცვის. ხოლო როგორ მოიქცა საბჭოთა მთავრობა? სრულის საკუთარის ნებით იცნო საჯარო ხელშეკრულობით სახელმწიფოს დამოუკიდებლობა (ავტორი, უეჭველია აქ საქართველოს ჰგულისხმობს) და რამდენიმე თვის შემდეგ იარაღით დაიპყრო ეს სახელმწიფო. ვიდრე ბოლშევიკები თავს არ გაანებებენ ასეთს საქციელს, ვიდრე სდევნიან ერს, რომელსაც უნდა დამოუკიდებელი არსებობა, მანამდე შვეიცარია ვერ ენდობა ბოლშევიკების მოწერილ ხელშეკრულობას და არ ჩაიდენს სისულელეს მათთან რაიმე პირობა შეჰკრას».

—

ჟურნალ Die tribune-ში კ. კაუცკი უპირისპირებს ერთიმეორეს სოციალისტების და ბოლშევიკების მისწრაფებას. «ჩვენი, სოციალისტების, მიზანია —ამბობს კაუცკი: მუშათა კლასის განთავისუფლება მისი საკუთარის ძალებით. ჩვენი მოვალეობაა დავეხმაროთ მუშებს ამ ბრძოლაში, რომ თვით ამ ბრძოლის საშუალებით გაიზარდოს მუშათა საორგანიზაციო უნარი, რომ მუშები ამაღლდენ ზნეობრივად და გონებრივად, და იმდენად გაძლიერდნენ, რომ შესძლონ პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება და მისი გამოყენება მშრომელთა ინტერესებისთვის.. ბოლშევიზმი კი სრულებით არ ფიქრობს მუშათა სულიერ დამოუკიდებლობაზე, არამედ ცთილობს სავსებით დაუმორჩილოს ისინი მოსკოვის ბრძანებებს. თავის უდიდეს მტრად მას მიაჩნია მუშების დამოუკიდებელი ორგანიზაცია. თავის პირველ მოვალეობად იმას სთვლის, რომ ესეთი ორგანიზაცია დაანაწილოს და დაშალოს. ამის შედეგი ისაა, რომ (კომუნისტური) მუშები ქვეყნიერებას იცნობენ არა ისე, როგორც ნამდვილადაა, არამედ როგორც ეს მოსკოვს მოსწონს, როგორც უჩვენებს მოსკოვი. ამის მისაღწევად ნებადართულია ყოველი საშუალება—სიცრუე, სიყალბე. სადაც ბოლშევიკები მეფობენ, აკრძალულია ყოველი ინფორმაცია, რომელიც არ ეთანხმება მათ ნაბრძანებს. ამიტომაა, რომ დღეს რუსეთი ისეა მოწყვეტილი მთელს მსოფლიოს, როგორც ოდესღაც ჩინეთი».

დასასრულ კაუცკი ამბობს, რომ საჭიროა არა გულუბრყვილო კამათი და გოდება, არამედ «დაუნდობელი ბრძოლა კრემლის დესპოტების წინაამდეგ».

—

ევროპაში დღეს არა ერთი და ორია, რომელნიც აქტიური კომუნისტები იყვნენ, მაგრამ შეიგნეს ბოლშევიკების დამღუპველი და გამხრწნელი მუშაობა და გამოვიდნენ პარტიიდან. ასეთებს მიემატა ეხლახან ფრანგი ლაპორტი, რომელიც შემდეგის ღია წერილით მიმართავს თავის ყოფილ ამხანაგებს კომუნისტებს: «ვიყავი ციმერვალდის მომხრე, დავაარსე ახალგაზდა კომუნისტების კავშირები, სამი წლის განმავლობაში მონაწილეობას ვიღებდი პარტიის მთავარ კომიტეტში, სხვებთან ერთად ვასრულებდი მოსკოვის ბრძანებებს, ორჯელ შევასრულე დავალება რუსეთში, ათი წელი რევოლუციონურ ბრძოლას ვაწარმოებდი—და ყველაფრის ამის შემდეგ დავტოვე კომუნისტური პარტია, რადგან თანდათან დაგროვილმა ფაქტებმა შემაგნებინეს, თუ რა ფასი აქვს იმ საქმეს, რომელსაც ზოგიერთები მისდევენ. და დღეს ავლაპარაკდი. ავლაპარაკდი, რადგან არ შემიძლია ჩემის გაჩუმებით მონაწილე გავხდე იმ საშინელის უბედურების, რომელსაც კომუნისტები უმზადებენ მუშათა კლასს. როგორც ეს უკვე გამოვსთქვი ჩემს წიგნში «კრემლის საიდუმლონი», ბრალსა ვსდებ საბჭოებს, რომ მათ სურთ მთელი ქვეყნის პროლეტარების რევოლუციონური რწმენა მსხვერპლად შესწირონ რუსეთის იმპერიალიზმს, რომელსაც ახორციელებენ ჩინეთსა, ინდოეთსა და ევროპაში ისევე, როგორც ამას მისდევენ მეფეები. ბრალსა ვსდებ საბჭოებს, რომ დაამყარეს რუსეთში სისხლიანი დიქტატურა, რომლის მსხვერპლნი არიან მუშები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხები, და რომლისგან სარგებლობს მხოლოდ მოხელეების, პროფესიონალურ რევოლიუციონერების და მოქეიფეთა ხროვა... ბრალსა ვდებ საფრანგეთის კომუნისტების ხელმძღვანელებს, რომ ისინი გახდნენ საბჭოთა მიერ დაქირავებული ლაქიები».

—

«სოც. ვესტ.»-ს ატყობინებენ რუსეთიდან: «რაც უფრო და უფრო აშკარავდება მოუსავლობის სიდიდე, მით უფრო იზრდება პესიმისტური სულიერი განწყობილება. პასუხისმგებელი კომუნისტების აზრით მდგომარეობა მეტად საშიშია, ზოგნი კი ფიქრობენ, რომ მდგომარეობა უიმედოა ან თითქმის უიმედო. პურის უცხოეთში გატანაზე ლაპარაკი სულ მეტია ახლობელ სამი წლის განმავლობაში. საერთო ვითარება ზოგს მიაჩნია უფრო მძიმედ, ვიდრე იყო დიდი სიმშილობის 1921 წელი: მაშინ სხვა დრო იყო, დღეს სულ სხვაა—დღეს აღარაა ის რწმენა, არც იმედია გარედან დახმარების. მაშ როგორ უნდა ეშველოს საქმეს? ერთნი ამბობენ, რაც შეიძლება მეტი უნდა დავუთმოთ უცხოეთის კაპიტალისტებს და როგორმე მოვიშველიოთო. მეორეთა ჯგუფში იმარჯვებს ტროცკისტული მიდრეკილება: არავითარი დათმობა, პირდაპირი გზით ვიაროთ და თუ იძულებულნი გავხდით და წავედით, კარები მაგრად მივაჯახოთ გახურვის დროსო. ამბობენ ამ უკანასკნელებს სტალინიც ემხრობაო».

—

რომ რუსეთში მართლა მეტად გაჭირვებული მდგომარეობაა, ამას სხვათა შორის ადასტურებენ იქიდან ახლად ჩამოსულები. ერთი მათგანი ასეთ ამბებს გვიამბობს (გაზ. დნი): «ოა მუშაობა და საქმიანობა შეიძლება ახლა იქ, როცა ლუკმა პურის შოვნა ასე გაძნელდა. დილის ხუთ საათზე უნდა გაიღვიძოთ. ოჯახის ერთი წევრი პურის რიგში უნდა ჩადგეს, 2-3 საათი უნდა ელოდებოდეს. მეორე ერბოს საძებრად უნდა წავიდეს, მესამე კვერცხისთვის, ან შაქრისთვის, ან ჩაისთვის. ბედნიერია, ვისაც ძებნა და რიგში ყოფნა ტყვილად არ ჩაუვლის: ნახევარი ხელცალიერი ბრუნდება სახლში... პურს გვაძლევენ შავს, უვარგისს, ძნელად მოსანელებელს. თეთრს პურს აცხობენ, მაგრამ ეს დანიშნულია მხოლოდ პასუხისმგებელ კომუნისტებისთვის».

—

შესაძლებელია ამ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ბოლშევიკებმა გამოსავალი საგარეო ომში ეძებონ? არიან ამ აზრისანი მათ შორის, რომ ვისმე ომი აუტეხონ, ომის ცეცხლი გადაისროლონ ევროპაში და ან გაიმარჯვონ და ან დაიღუპნენ. ამ გარემოებას ყურადღებას აქცევს პოლონური გაზეთი Kur. Por., რომელიც კიევის მიდამოებში გამართულ წითელ არმიის აღლუმის გამო სწერს: «თუ ვისმე ეჭვი ჰქონდა კიევის აღლუმის თავდასხმითი ხასიათის შესახებ, მას ეს ეჭვი გაეფანტება, როცა გაეცნობა ვოროშილოვის განცხადებას, რომ წითელი ჯარი ყოველდღე უნდა მოელოდეს ომს რევოლუციონურ აზრების გასავრცელებლად, ან ლენინგრადის კომენდანტის სიტყვებს, რომ რუსის ჯარი ახლომომავალში კვლავ შეესევა პოლონეთს. ბოლშევიკები საჯაროთ წარმოთქმულ სიტყვებში თუ გაზეთებში ომის პროპაგანდას ეწევიან. იარაღდებიან ვითომც იმიტომ, რომ დასავლეთიდან გვემუქრებიანო. ნამდვილად კი თვითონ აქვთ განზრახული აგრესიული ომი».

გაცრუებული იმედი.

საბჭოთა ჩიაკაცობას მტკიცება არ სჭირია. მაგრამ აი კიდევ მათი უთავობის ერთი ნაყოფი. რა მოხდა? ჭიათურის კონცესიას წირვა გამოუვიდა; საოცნებო კერძისაკენ მიზიდული საბჭოთა კოვზი ფრიად რეალურ ნაცრში ჩავარდა, და საბჭოთა ოქროპირებს დღეს არღარა დარჩენიათ, თუ არა ქექვა იმ რეალურ ნაცრისა. მართლაც ჭიათურის კონცესია ბაბილონის გოდოლივით წამოიწყეს და ბედიც იმავე გოდოლისა ეწვია: ენათა შერევა. ჭიათურის შავი ქვა დიდი ეროვნული სიმდიდრეა, და მისი ხეირიანი დამუშავება დიდი ეროვნული საქმე იქნებოდა, მაგრამ დიდი საქმის შესაფერი გამჭრიახობა და სიდინჯე, სიმართლე უნდა ითქვას, საკონცესიო ხელშეკრულების ორივე მხარეს აკლდა. საბჭოთა მამების აზრით ამერიკის კაპიტალს თავისი კალთა საბჭოებზე უნდა დაებერტყა, მით საბჭოთა მახინჯი ცხოველებისათვის დღენი განეგრძო და გაელაღებია, ბოლოს კი მამა აბრაამის ბატკანივით თავი დანასთან მიეტანა. ბევრი სალაპარაკო მოგვეცემა, ჯიბეც გაგვისკელდება და ეგებ მაშინ გავაცოცხლოთ იდეია ქვეყნის კომუნიზმის ცეცხლით დაწვისაო. შეიძლება ჭიათურის კონცესიას ჩაილულის წყალივით მართლა არ ჩაევლო, რომ საბჭოთა საქმიანობის საფუძველი არ იყოს მარტო ფანტაზია და ფანატიზმი, და კომპარტიის ვიწრო შემეცნებიდან არ იყოს სამუდამოთ გამორიცხული იმის შეგნება, რომ ფანტაზიას გარდა არსებობს კიდევ რეალური საზომი საგანთა და მოვლენათა შეფასებისა.

არც ჰარიმანის გამოცდილმა ფირმამ გამოიყენა რეალური საზომი საბჭოთა სინამდვილის შეფასებაში. მან მზამზარეულათ წარუმძღვარა თავის ფრიად სერიოზულ საქმეს ის ყალბი აზრი, თითქოს საბჭოთა ცხოვრებაში ფაქტია უფლების სუვერენობა, მაშასადამე პასუხისმგებლობა და გარანტია. აბა რა უფლებასა და გარანტიაზე შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც ამოდენა ბუნებრივი სიმდიდრე კონცესიად იცემა და ამ სიმდიდრის პატრონს—ქართველ ერს კი არა ეკითხება რა! სადაც მუშა მიჩნეულია პროუტყვათ; სადაც უსიტყვო დამორჩილება და უსაზღვრო ბატონობაა. სადაც ხალხის აღზრდის ერთად ერთი საშვალება სამხედრო კომუნიზმია; სადაც ადამიანის ღირსებას მავნე უტოპიას ეძახიან; სადაც მოსპარია თავისუფლება—წყარო ყოველივე შემოქმედებისა, იქ ეკონომიური შემოქმედებაზე ლაპარაკი შეიძლება? არა, და ამას ჭიათურის კონცესიის მაგალითი ერთხელ კიდევ ღაღადებს.

ხალხი კონცესიას იმთავითვე ნაღვლითა და დუმილით შეხვდა, რადგან წინდაწინ იცოდა ბოლო ყოველივე სიბჭოთა წამოწყებისა. საბჭოებს კი სწორედ ხალხის ალაპარაკება უნდოდათ, რადგან მათთვის ხალხის დუმილიც საშიშარია. მათ იციან, რომ ჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ხალხის დღევანდელ დუმილში ძლიერი მოძრაობაა ხალხის სულისა, ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციაა». კონტრ-რევ. მუშებში, კონტრ-რევ. გლეხებში, კონტრ-რევ. ადმინისტრაციაში, კონტრ-რევ. თვით კომ-პარტიაში. იწმინდებიან, იხეხებიან ყოველ მხრიდან და ყოველი საშვალებით, მაგრამ საქმეს არა ეშველა რა, კონტრ-რევოლიუციონური ბაცილები საშინელი სისწრაფით მრავლდებიან. განსაკუთრებული უბედურება იმაშია, რომ «კონტრ-რევ.» კომპარტიას და სახელმწიფო აპარატს ეპატრონება. უიმედო მდგომარეობაა, მაგრამ ერთი გენერალური «ჩისტკა» კიდევ დღის წესრიგშია. ვერაფერი გამოსავალია: ხიშტებით აზრები არ შეიპყრობის, ისე როგორც მარტო აზრებით ხიშტები არ უკუიქცევის.

* * *

«კოპალიანმა (მილიციის უფროსია) ერთ დღის კომისარიატში მოიწვია სასწრაფო თათბირი და ასეთი საუბარი ჩამოუგდო თავის თანამშრომლებს: თქვენისთანა ვაქკაცები უფრო მდიდრათ უნდა ცხოვრობდენ, მოდი ცოტა «მოვსკნათ», თქვენც იხეირეთ და მეც მახეირეთო... გადაწყდა შეთანხმებული მუშობით სახაზინო ფულების მითვისება... მეგობრებმა სულ ტყავი გააძვრეს ჯარიმიდან შემოსულ ფულს. იმართება დაუსრულებელი ქეიფი» და სხვ... (კომ. 28 აგვ. 29 წ.).

ბოლშევიკები ბუნებით მოქეიფე ხალხია, ეს ყველამ იცის. უყვართ გადაკვრა, უყვართ სხვა რამეც. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში მაინც სულ ყველანი ერთბაშათ «ქეიფათ» იქცენ. «ვინ უწყის, რა გველის, ან დღეს, ან ხვალე, მაშ ხუხე, ძმობილო, სულ გამოცალე». «კომუნისტის» თითქმის ყველა ნომერშია მხიარული ძმაბიჭების შესახებ «მხიარული» მოთხრობა.

* * *

«საქარ. კომუნის. პარტიის ცენტრ. კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა დიდი ყურადღება მიაქცია ახალ-სტთა კადრების აღზრდას» (კომ. 24 აგვ.).

«კონტრ-რევ.» მეცნიერებამ პირდაპირ საქმე გაჭირვა, ნამეტანი გაუმაძღარია (და ეს «ბუნებრივია», რადგან იგი «ბურჟუაზიულია»), თავის საქმით არ კმაყოფილდება, ყველგან ეჩხირება, ყველას აწუხებს; უცხო «ცხოველია», ძნელათ მოსაშინაურებელი, მასთან საშიში, დაუნდობელი. ამიტომ ბრძანებულ არს იყოს კომუნისტი სპეციალისტი, მაგრამ საქმე რაღაც ვერ იჩარხება—«სტუდენტები იძულებული ხდებიან, მუშობის დაწყებისას მხოლოდ რეგისტრაციაში გაიარონ და შემდეგ სხლში დასაძინებლათ წავიდენ» (კომ.).

«არა შეჯდა წყერი ხესა, არა იყო გვარი მისი». ბოლშევიკები, როგორც შემომქმედი, კულტურული ძალა, არარაობას წარმოადგენენ. ამიტომ, რასაკვირველია, მათი «საქმიანობა» ვერასოდეს დადებით ნაყოფს ვერ გამოიღებს.

არაფრიდან არაფერი იქნების. ათი წელი საკმაო დროა, რომ სახელმწიფომ, თუ მას სიცოცხლე უწერია, ოდნავ მაინც დაახწიოს თავი საგანგებო მოვლენების მიერ გამოწვეულ კრიზისს და განკურნების გზაზე შესდგას ფეხი. ყველგან ამ დადებით მოვლენას ვხედავთ, რუსეთში კი სულ საწინააღმდეგოს.

* * *

ნათქვამია—ღმერთი რომ კაცის წახდენას მოისურვებს—უმალ ჭკუას წაართმევსო. ბოლშევიკები განგებამ თავიდანვე განწირა. ამიტომ უგნურათ იშვენ, უგნურათ მიდის დღენი მათნი და უგნურადვე ჩაესვენებიან. თუ «კომუნიზმის» პირველ ხანებში კიდევ შესაძლებელი იყო, ვინმეს მათი უგნური მოქმედებანი მათი გამოუცდელობით და ან და სხვა რაიმე ამგვარი მოსაზრებებით აეხსნა, დღეს მათ საქციელს გარდა აბსოლიუტური იდიოტობისა ვერაფერი გაამართლებს.

შესაძლებელია ხუნდებში ჩაჭედო სხეული, მაგრამ დატყვევება სულისა ძნელია, მით უმეტეს ისეთი სულისა, რომელიც დიდი ხანია ჩამოყალიბებულა და საკუთარ, დამოუკიდებელ გზაზეა შემდგარი. ამ მხრივ ძლიერია ქართველი ერი. ის წარსულში ხშირათ ყოფილა ფიზიკური ტყვე, მაგრამ სული მისი ვერვინ იმონა. ვერც ბოლშევიკების ბარბაროსობა შესძლებს შეუძლებელს. უკვე დიდი ხანია, ისინი «მეფობენ» საქართველოში, მაგრამ ერის სული ვერ იშოვეს. რაც დრო გადის უფსკრული მოსულსა და დამხდურ შორის უფრო და უფრო ღრმავდება. აქედან უნდობლობა ხელისუფლების ხალხიდან გამოსულ ელემენტებისადმი და სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ ასპარეზიდან, რამდენათ ეს შესაძლებელია, მათი განდევნა.

განსაკუთრებით მძიმე ასაღები შეიქნა განათლების სიმაგრე. აქ თითქმის ყველა «კონტრ-რევოლიუციონერებია» დაწყებული მასწავლებლიდან, გათავებული მოწაფეებით.

რა ეშველება ამ უბედურებას?—ბევრი იფიქრებს და ისევ ძველ ნაცად საშვალებას მიადგენ—კომუნიზაციას. საინტერესო სურათს გვაძლევს ამ მხრივ თბილისის კომიტეტის პლენუმი. აქ, სხვათა შორის, ირჩევა საკითხი: სახალხო განათლების მდგომარეობა ქალაქსა და მაზრაში. მოხსენებას აკეთებს ვიღაც ბერიძე. «მასწავლებლობის შემადგენლობის კომუნიზაციას უმთავრესად სათანადო კადრების უყოლობა აფერხებდა. ამჟამად პედაგოგ კომუნისტთა კადრები ნაწილობრივ უკვე გვყავს. ამიტომ განათლების განყოფილებას დასახული აქვს გაატაროს კომუნიზაცია ადმინისტრატიული პერსონალის შემადგენლობაში 50 პროც., საზოგადო მეცნიერების მასწავლებელთა შემადგენლობაში—90 პროც.»...

იმართება კამათი. სააკიანი.—მოწაფეთა სოციალური შემადგენლობა, განსაკუთრებით მაღალ ჯგუფებში, არადამაკმაყოფილებელია. ეს უნდა გამოსწორდეს. პედაგოგების შემადგენლობაში ბევრია კონტრ-რევ. ელემენტები. საჭიროა ამ ხალხის თანდათანობით შეცვლა კომუნისტებით» (კომ. I სექტ. 28 წ.). ამ სიტყვებს კომენტარიები არ სჭირდება.

ყოველ პატიოსანს, არა ჩეკისტს ქუჩაში ერეკებიან, მას არ აქვს უფლება იშრომოს და იარსებოს, ვინც კი «მოქცეულია», მისთვის გზა გაშლილია.

ჩეკიზმი განათლებას ეპატრონება, პედაგოგიკა და პედაგოგები «ეშმაკეულია».

შედეგები?—ყველასათვის ნათელია.

ხაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ტ ა ლ ი ე ბ ი ს ფ ე ბ ლ ე ბ ი.

ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ა კ ე ნ.

რა არის ახალი იტალიურ საგარეო მიმართებაში, საით იწევს ღერძი მისი პოლიტიკისა?

დიდ ომში გამარჯვებულ იტალიას ცოტა არ იყოს პირში ჩალა გამოავლეს, ყოველს შემთხვევაში მას აგრძნობინეს, რომ მისი პრეტენზიები არავისათვის სავალდებულო არ არის და სხვადასხვა ხალხთა ბედის გამორკვევაზედაც სხვები იზრუნვებენ. საქმე იქამდისინაც კი მივიდა, რომ უგულებულჰყოფდნენ მის საარსებო ინტერესებსაც და თითქმის აღარც ჰგულისხმობდნენ «დიდ სახელმწიფოთა» რიცხვში!

მაგრამ მოიგონეთ მუსსოლინის პირველი შეტევები ერთა ლიგაში მბრძანებელ სახელმწიფოთა მიმართ. პირველივე მოქმედებით იტალიის დიქტატორმა აგრძნობინა ყველას, რომ «დრონი იცვალნენ» და დღეს იტალია თავის დასტურს არ მისცემს მისთვის დამამცირებელსა და საზიანო აქტებს, თუნდაც მათ ერთა ლიგის ბეჭედიც ესვას. აკი კუნძული კორფუს ამბავიც მეხივით გავარდა ევროპაში და გაკვირვებულ დიპლომატებმაც ყენევის სასახლეში მოისმინეს მუსსოლინის სიტყვა: ნუ ირჯებით, მე თვითონ მოუვლი ამ საკითხსაო! მასუკან სახელმწიფონიც თითქოს შეურიგდნენ იტალიის აწეულ ტონს. მუსსოლინი უბღვეროდა ყველას, ვინც კი ხელისშემშლელად ეჩვენებოდა: ასეთი იყო მისი პირველი გამოლაპარაკება ოსმალეთთანაც, რამაც მას ზოსულზე ხელი ააღებინა.

ასეთ ახმაურებულ მოქმედებათა შემდგომ უკვე თვალსახილველ იქმნა, რომ დიდ სახელმწიფოთა მოპყრობა იტალიისადმი ამიერიდან უნდა შეცვლილიყო და რომ არსებობენ ისეთი პრობლემები, რომელთა გადაჭრა უიტალიოდ სიმტკიცეს მოკლებული იქნება, როგორც მაგალითად: ხმელთაშუაზღვისა, ბალკანეთის, ახლოაღმოსავლეთის საკითხები.

ხმელთაშუაზღვის პრობლემა უფრო მარტივია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ სფეროში იტალიის უაღრეს ინტერეს არავინ უარყოფს. თუ საფრანგეთი, მაგ., მხოლოდ უმცირესი ნაწილით ეკვრის ხმელთაშუაზღვას, იტალია მთელი თავისი «წაღით» ჩასულია იმაში, ამ ზღვით სუნთქავს, მითი იკვებება, მაზედ ამყარებს თავის იმედებს... ამ მხრით, როგორც ვიცით, მცირეოდენი «კორექტივები» მიტებულია იტალიის სასარგებლოდ.

მეტისმეტ სიძნელესა და სირთულეს შეიცავს მეორე მომენტი, სახელდობრ იტალიის რეალ შესაძლებლობათა გარკვევა ბალკანეთისა და ახლოაღმოსავლეთის პრობლემებში: იტალია ფიცხად მიექანება აღმოსავლეთისაკენ და ვერცა ჰმალავს თავის ზრახვებს. დიდ ომმა პირისპირ წაუყენა იტალიას აღმოსავლეთის მხრით ახალი სახელმწიფო ერთეული, გადიდებული სერბია, რომელსაც ახალი მოუხეშავი სახელწოდებაც-კი ძნელად გამოუგონეს. მოგეხსენებათ, რომ ეს საკაროლო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე «პირველი ლოტბარის» ხელობას ჩემულობს და საიმპერატორო რუსეთის აღგვის შემდგომ პანსლავიზმის ავანპოსტათაც მოაქვს თავი. ყველაფერი ეს ჭკუაში არ უჯდება იტალიას და ამიტომაც 1922 წლიდან გამუდმებით უტევს მას. ძნელია იმისი გამოცნობა, თუ როდისა და რითი დამთავრდება ეს პერმანენტული შფოთი მათ შორის. ჩვენთვის უფრო საყურადღებოა ამ შფოთის მიმდინარეობის პროცესი, დაკვირვება და შესწავლა მოვლენებისა, რომელნიც მოხერხებულად მოწყობილ ცხადი თუ ფარული ინტრიგების შედეგად გვევლინებიან.

რას ეძებს იტალია ბალკანეთში? როგორი გარკვეული ამოცანა აქვს მას დასახული ამ მიმართულებით? ვის ედავება და ვის ემორჩილება აქ?

თვალი გადაავლეთ რუკას და ადვილად მიხვდებით იტალიის პოლიტიკის დედააზრს: ის აწვება იუგოსლავიას ჩრდილოეთიდანაც და სამხრეთიდანაც! ქალაქ ძარამდის ის ბატონობს მეტწილად სახელმწიფოებრივად, ხოლო ზოგ შემთხვევებში სერვიტუტითა და სხვა კომბინაციებით. ჩრდილოეთიდან? გავიხსენოთ ალბანეთის მთელი ეპოპეა, განსაკუთრებით-კი მისი საბოლოო ეფექტი, რაიცა გამოიხატა იტალიის სურვილითა და მატერიული ხელშეწყობით მუნ სამეფო ტახტის დადგმაში და ჯეროვანი დასკვნაც მზადასმულია! ამას მიუმატეთ იუგოსლავიის შიგნით დატრიალებული საგულისხმო ამბები, რომლებიც თავის დამთავრებას ჯერ უცდიან; ყოველსშემთხვევაში კათოლიკურ ზაგრებს თავისი შესაძლებლობანი ამოწურულად არ გამოუცხადებია. ამას დაურთეთ იტალიის ქსელი, პირველად უნგრეთსა და რუმინეთში გადაბმული, შემდგომ ანგორაში და სულ უკანასკნელ დღეებში საბერძნეთამდისაც მიწვდილი,—განა რომ სურათი მართლაც აღბეჭდილია: სერბიის იზოლიაციის ერთის მხრით, ბალკანეთში იტალიის ჰეგემონიის დამკვიდრების ცდა მეორის მხრით.

ეხლა ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ იტალიის პოლიტიკაზე ოსმალეთში: ბევრი მოსაზრებანი ამოძრავებდა იტალიას, როდესაც მან მუქარის ტონი ბევრთათვის მოულოდნელად მშვიდობიან ჰანგებზე გადასცვალა და ასევე მოულოდნელად მეგობრული ხელშეკრულობაც დაუდო მას. ტერიტორიალურად დაპატარავებული ოსმალეთი, დღეს თურანულ სახელმწიფოდ ქცეული, საერთაშორისო ურთიერთობაში სუსტ ფაქტორად ითვლება, ხოლო ხალიფატის უარყოფით ჩვეული შარავანდედიც წაერთვა მრავალრიცხოვან მაჰმადიანთა თვალში. მართალია, ახალი წესწყობილების შემოღების შემდგომ იგი უფლებრივად გაუთანასწორდა განათლებულ ქვეყნებს და ევროპიელთა უპირატესობანიც, ანუ, უკეთ ითქვას, მათი პრივილეგიები მოსპობილია იქ, მაგრამ ამ გარემოებით ევროპიელთა გავლენა ამ მხარეში მოსპობილი როდია. ასეთ ხელობას ომამდე ოსმალეთში ინგლისის შემდგომ გერმანია ეწეოდა. ბევრსა ჰგონია, რომ ეს როლი ამ ჟამად რუსეთზე გადავიდაო, მაგრამ ისტორიულად გამოცდილია, რომ რუსეთი ამისთანა საქმეებში მეტისმეტად ბრიყვია და იტალიასაც სხვებზე ურიგოდ არა აქვს ეს გარემოება გათვალისწინებული. თავის აღმოსავლურ პოლიტიკას იტალია დამთავრებულად ვერ ჩასთვლიდა, რომ ახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ოსმალეთიც თავისკენ არ მოეზიდა. აქედან გამომდინარეობს ერთი მნიშვნელოვანი დებულებაც: გაუნაღდებელი დარჩა ისეთი სახის «ბალკანეთის კავშირი», რომელსაც მიზნად ჰქონდა იტალიის აღმოსავლეთის გზების შეკვრა და უწინარეს ყოვლისა გაძნელება მისი დაახლოვებისა ოსმალეთთან...

რომი. რ. ინგილო.

ალფონს ფლარ.

პარიზში გარდაიცვალა ამ დღეებში საქვეყნოთ ცნობილი ისტორიკოსი და მოღვაწე, ღრმათ მოხუცებული, ალფონს ოლარი. იშვიათია ქართველი მკითხველი, რომელსაც მისი სახელი არ გაეგონოს. რამოდენიმე თაობა ჩვენი ინტელიგენციისა, საზოგადოებრივი საკითხებით გატაცებული, განსაკუთრებული ინტერესით ეწაფებოდა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ისტორიას, რომლის საუკეთესო თანამედროვე მკვლევარი იყო პროფესორი ოლარი. განსაკუთრებით პოპულიარულია ჩვენში დიდი ხნიდან რუსულათ ნათარგმნი მისი «საფრანგეთის რევოლიუციის პოლიტიკური ისტორია». მაგრამ განსვენებულის სახელი დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანასთან არა მარტო მისი ისტორიული შრომების წყალობით. ოლარი იყო აგრეთვე პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, რომლის მსოფლმხედველობის წყარო იყო «ადამიანის უფლებათა დეკლარაცია». «ადამიანის უფლების» დაცვა გულისხმობს დაცვას ერთა უფლებისას. ჯერ კიფევ 1918 წელს გამოვიდა ის კრებაში ჩვენი ახლად დაარსებული რესპუბლიკის დასაცავათ. ხოლო ჩვენი დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ოლარი დაუზარებლათ აღიმაღლებდა თავის ავტორიტეტულ ხმას საქართველოს გათელილ უფლებების სასარგებლოთ. ის საუკეთესო დამცველი იყო დაჩაგრულ საქართველოსი «ადამიანის და მოქალაქის ლიგაში», რომლის უდიდეს მოღვაწეთაც ითვლებოდა, «ერთა ლიგის საზოგადოებაში», საჯარო კრებებზე და პრესაში. 1924 წ. აჯანყების დღეებში მან პირველმა აღიმაღლა ხმა ფრანგულ პრესაში ჩვენი ხალხის სასარგებლოთ. უკანასკნელათ ამ ორი თვის წინ გამოვიდა ის პარიზელ «ერ ნუველ»-ში ქართველ პატიმართა და გადასახლებულთა ბედის აწერით.

ქართულმა სექციამ «ადამიანის უფლებათა ლიგისა» გაუგზავნა სამძიმრის დეპეშა საფრანგეთის ლიგას, რომლის ვიცეპრეზიდენტი იყო ოლარი და მიიტანა განსვენებულ ისტორიკოსის საფლავზე გვირგვინი შემდეგი წარწერით: «ქართული ლიგა ბ-ნ ა. ოლარს, ჩაგრულ ერთა დამცველს».

—ე.

ქართველები საფრანგეთში.

ოდენკურში მომუშავე ქართველთა კოოპერატიულმა სასადილომ შესწირა 1,500 ფრანკი პოლიტიკურ გადასახლებულთა ფონდს, 500 ფრ. «დამ. საქ.» რედაქციას, 500 ფრ. «ბრძოლას» და 500 ფრ. «ახალგაზდა სოციალ-დემოკრატს».

საყურადღებოთ.

ოდენკურში არსებულ ქართველთა კოლონიის გამგეობა აცხადებს იმ ჩვენ თანამემამულეთა საყურადღებოთ, ვინც დააპირებენ ოდენკურში სამუშაოზე მოსაწყობათ ჩამოსვლას, რომ წინდაწინ, სანამ ჩამოვიდოდნენ, უნდა მიიღონ თანხმობა ან კალონიის გამგეობიდან, ან სხვა რომელიმე, ოდენკურში არსებულ, ორგანიზაციისაგან, რომლებიც კალონიაში შედიან.

წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილობრივი ქართული დაწესებულებანი ვერ იკისრებენ მათი ოდენკურში სამუშაოზე მოწყობას; ვერ იკისრებენ აგრეთვე რაიმე მატერიალური დახმარების გაწევას მათთვის, ვინც უადგილოთ დარჩება.

ყოველივე გაუგებრობის მომავალში თავიდან ასაცილებლათ, ვთხოვთ ჩვენ თანამემამულეებს მიიღონს ეს მხედველობაში.

ოდენკურის ქარ. კოლ. გამგეობა.

ქართველები გერმანიაში.

ბერლინის ქართველთა კოლონიაში მოეწყო ილია ჭავჭავაძის საღამო—დღიდან მისი გარდაცვალების 20 წლის შესრულების გამო.

დარბაზს ამშვენებდა ყვავილებით მორთული ილიას სურათი, ქართული სამფეროვანი დროშა და ღერბი. საღამოს თითქმის უკლებლივ კოლონიის ყველა წევრი დაესწრო. მოხსენებებით გამოვიდენ:

1) ბ-ნი მიხ. წულუკიძე (ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა).

2) ბ. გელა-გელაზანია—(ილია ჭავჭავაძის პოეზიის ძირითადი თვისებანი).

3) ს. ირემაშვილი (ილიას შესახებ მოგონებანი და ბიოგრაფიული ცნობები).

ყველა მოხსენებანი უმთავრესათ აღნიშნავდენ ილიას მრავალ-მხრივ მოღვაწეობას და მის განუწყვეტელ ბრძოლას საქართველოს განთავისუფლების საქმეში.

მადლიერი საზოგადოება ქართული ჰიმნის სიმღერით დაიშალა.

მადლობის გამოცხადება.

უღრმეს მადლობას ვსწირავ მათ, ვინც კეთილინებეს და სამძიმარი გამომიცხადეს დედიჩემის გადაცვალების გამო.

ხ. ასათიანი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ჩრდილო (ტიროლის) იტალიის პატარა ქალაქ San Candido-ში (ომამდის ავსტრიას ეკუთვნოდა Innichen-ის სახელწოდებით) სამხედრო სასაფლაოზე არის ერთი სამარე № 317 წარწერით: აქ განისვენებს მხედარი სიმონ მახათაძე.

გთხოვთ ეს გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულ გამოცემაში ზემოდასახელებული მხედრის მშობელთა, თუ ნათესავთა საყურადღებოდ. რ. ინგილო.

Rédaction et Administration.
M. J. GOBETCHIA
7, rue de Ponthieu, 7. Paris.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.